“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№1 (265)
იანვარი
2021 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამესამე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ვაჟა-ფშაველა — 160

სიბნელე ფიქრები

ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს. ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვმატებს, ყოველდღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისაგან არაფერს მოელის, გადუწყვეტია იმედი, ცოცხალმკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა... ყოველ მის საქმეს, მოძრაობას და მოქმედებასაც არა აქვს შნო, არა აქვს ლაზათი. იმას არც თავმოყვარეობა აქვს, არც სხვის სიყვარული შეუძლიან, არც საქმისა, აკლია მხნეობა. ეგრეთვე თუ ერი, როგორც კრებული ადამიანთა, საბრალოა ქვეყანა, საწყალია ის ერი, რომელსაც დაუკარგავს იმედი ხვალინდელი დღისა, საუკეთესო მერმისისა. თამამად ვიტყვი, რაც უნდა დაბეჩავებული იყოს ერი, რაც უნდა გასაწყლებული, თუ საუკეთესო მერმისს მოელის და არ გადუწყვეტია იმედი და არ ფიქრობს: „ეგ არის, ჩემი საქმე მორჩომილია, დაღუპული ვართ“, ის ერი არც დაიღუპება, არც მოკვდება. მომაკვდინებელს გარემოებაში და პირობებში რომ იყოს, გარემოებას შესცვლის და გაიმარჯვებს კიდეც. ხომ იცით კერძო ცხოვრებიდან მაგალითები, ექიმის იმედიანს სიტყვას მომაკვდავი სნეული ფეხზე წამოეყენოს. იმედიანმა სიტყვამ იმედი დაუბადა გულში სნეულს და გააცოცხლა. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იმედს როცა აძლევს ექიმი, თან წამალსაც შესაფერს ასმევს სნეულს, ისეთს წამალს – მის სნეულებას რომ მოუხდეს და არა შხამს, საწამლავს. შეიძლება სნეული ცალკე აღებული ადამიანი, მარტო იმედით მორჩეს, უწამლოდ, უარაოდ, ხოლო დასნეულებული, დაავადებული ერი არასოდეს მარტო ცალიერის იმედით არ მორჩება თუ წამალი არ მიეშველა. მაინც ერი იმედიანად არასდროს არც არის, თუ იგი თავის სხეულში არა ჰპოვებს წამალს, არ ჰხედავს ნიშნებს საუკეთესო მერმისისას და მომავლისას.

რაკი მომავლის იმედზე ვამბობთ, ისიც აუცილებლად საჭიროა ითქვას, რომ ერი არასოდეს უიმედობას არ მიეცემა, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდება და მომავლის იმედს არა ჰკარგავს. უიმედობა მომავალზე ეს ჩვენი ეგრეთნოდებული ერთგვარი ინტელიგენციის ოცნების ცუღლუტობაა და სხვა არარა, ეს უსაქმურთა და უკეთურთა საქმეა. იცნობს ამის მთქმელი ერს? იცის მისი სულის და გულის ვითარება? არაფერი ეს ამ მომავლის იმედის მომწამვლელთ არ იციან, იმიტომ რომ თითონ არაფრის გაკეთება, არაფრის უნარი არა აქვთ, არაფერი ცხოვრებისა არ ესმით, ერის ძალ-ღონე აწონილ-გაზომილი არა აქვთ, ან კი რას ვამბობ: ვინც ჯერ თავის თავს არ იცნობს, თავის ძალ-ღონე არ შეუგნია, იგი ერს როგორ იცნობს, მის ძლიერებას, ან სისუსტეს როგორ შეიგნებს?!.. იქნება მკითხველი გაგვიწყრეს და სთქვას: „რა დროს იმედებზე ლაპარაკისაა, სხვა რამე თქვი, დალოცვილო, რომ ახალწლის დღესასწაულს შაეფერებოდესო“. უსამართლო რისხვაა. ახალწელს სწორედ ამ საგანზე შაეფერება საუბარი. რადა-თქო? – მკითხეთ. იმიტომ, მეც მოგახსენებთ, რომ რაც უნდ უფერულ და უიმედო ყოფაში იყოს ადამიანი, ახალწელს მაინც იმედით ეგებება, როგორც კარგის რისიმე მომტანს, კარგის მომასწავებელს. უნუგეშოდ, უიმედოდ დახვედრა კი დიდი ცოდვაა. თქვენ, მკითხველო, ალბათ არ იცით, რომ ჩვენა გვყანან „უიმედონი“ ინტელიგენტები, რომელთაც სხვა არა რა სწამთ და არც რას დაიჯერებენ, გარდა „კოსმოპოლიტიზმისა“. ნაციონალიზმი იმათ არა სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერნი ვართ, თუ სხვა ერს არ შეუერთდით და „ჩვენობა“ არ უარვყავითო. პატრიოტები იმათ ფიქრით ვიწრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ვრცელი“ შეხედულება აქვთ. ესენი ბალღები არიან, წვრილფეხობაა, და როგორც მოგეხსენებათ, ბალღს ლულუა უყვარს. დიაღ, ბალღები არიან და სამწუხაროც ეს არის, რომ რაც ახალგაზრდული ძალ-ღონე აქვთ, შეალევნ ჰაერში კოშკების გებას და როცა მოიღლებიან გულითა და გონებით, გატეხილნი, დაუძლურებულნი, მაშინ „დაბრუნდებიან შინა“, მაშინ მოიკითხავენ საკუთარს კერას, საკუთარს ბინას, მაგრამ უღონონი, უგულონი რიღას მაქნისნი იქნებიან?!.. სამწუხარო მოვლენაა დიდად!.. ეს ყრმანი შებრალების ღირსნი არიან, ხოლო ისინი, ვინც ამათ ამ გვარს საკენკს უყრის, წყევლის და სიძულვილისა.

ამ ახალ-წლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალა-უნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავიჭდიოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომელ ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად რაც-კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვ. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით. თუ არა და ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას ამბობს, კაცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისთვის – რომლის ღვიძლი შვილია, – რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს).

ვაჟა-ფშაველა,
თხზულებანი,
1985.გვ. 755-757

„ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად ნაფიქვლიანი მწერალია, ჩემ მისი ნაწერების დასაფასებლად საკმაო ის არის მარტო კაცის აზრი და შთაბეჭდილება.“

ილია ჭავჭავაძე

„ძალადობა ისტორიაში ყოველთვის ერთი ასეთი, ჩამორჩენილ გაფანტულებია ვაჟა-ფშაველის. ერთი ასეთი ძალადობა ბოლოს კავკასიონის მეფეებსაც უფრა დაბადებულიყო“.

ილიას ეპისტოლეებიდან,
ალი ქურაველიანი

დიდი ხნის მეგობრები

ამირან ჯმუხაძე

თბილისში ძალიან ცხელა. აგვისტო იწურება. გიზომ, რომელიც რვასართულიანი სახლის სადარბაზოსთან დგას და სიგარეტს ეწევა, მეზობელი როსტომი შენიშნა. იგი ნელი ნაბიჯით მოდიოდა, როცა სადარბაზოს მიუახლოვდა, თავი ასწია, გიზოს მიესალმა. გიზომ ხელი ჩამოართვა, ერთმანეთი მოიკითხეს.

როსტომი და გიზო დიდი ხნის მეზობლები არიან. ორმოც წელზე მეტია რაც ერთმანეთს იცნობენ. როცა ამ სახლში გადმოვიდნენ, ორივეს ახალი მოყვანილი ჰყავდა ცოლი. გაცნობის შემდეგ, ჭირია თუ ლხინი, სულ ერთად არიან, ერთმანეთის გარეშე არაფერს წყვეტენ...

როსტომი სამოც წელს გადაცილებული კაცია, მელოტი თავი, წაბლისფერი თვალები და მოგრძო სახე აქვს. ამ გაგანია ზაფხულში, როდესაც ადამიანები გარეთ გამოსვლას ერიდებიან, როსტომი თითქმის ყოველ დილით სათევზაოდ დადის. ეს მისი მარტო ჰობი კი არაა, არამედ, ის ამ საქმიანობით თავის გაჭირვებულ ოჯახს ეხმარება, დაიჭერს თუ არა რამდენიმე კილო თევზს, მაშინვე თავის კლიენტებს დაურეკავს, რომლებსაც რესტორნებთან აქვთ კავშირი, შეხვდება და იმ დღესვე ახდენს თევზის რეალიზაციას. ასე ვთქვათ, მას თავისი პატარა ბიზნესი აქვს, არადა, არ გაემტყუნება, როგორც თვითონ იტყვის ხოლმე „ზედმეტი ფული არავის აწყენსო“. გიზოც სამოც წელს გადაცილებულია. მასაც მელოტი თავი და წაბლისფერი თვალები აქვს, ოღონდ, ის როსტომზე ცოტათი მაღალია და უფრო ბრგე ტანიც აქვს, თანაც, მისგან განსხვავებით, ნადირობა და თევზაობა საერთოდ არ აინტერესებს. აინტერესებს კი არა, მონადირეებს და მეთევზეებს პატივს არ სცემს. იძახის: – ადამიანმა ცოცხალი არსება როგორ უნდა მოკლასო. ასეთი ადამიანები უგულო და სადისტ ადამიანებად მიაჩნია.

– სათევზაოდ დღესაც იყავი? – შეეკითხა გიზო.

– კი, გიზოს ვენაცვალე, მაგრამ, რად გინდა, ცარიელი მივედი სახლში. თითქოს გათვალული ვიყავი, ანკესს თევზი არ ეკარებოდა. ჩემს ახლოს ვინც იჯდა, ყველამ რაღაც მოახერხა, მე კი, ვერაფერი გავაწყვე. მოკლედ, ჩემო კარგო კაცო, ყველაფერში ბედი უნდა გქონდეს... – წარმოთქვა როსტომმა და მარჯვენა ხელით სათვალე გაისწორა.

– მართალს ამბობ, კაცო?! – გაოცდა გიზო.

– ტყუილი რაში მჭირდება. აბა, წარმოიდგინე, ამ სიცხეში, მტკვრის პირას რომ ზიხარ და ვერაფერს ახერხებ, როგორი მოსათმენია, ამდენი იწვალო და სახლში ხელცარიელი დაბრუნდე. შენც კარგად მოგეხსენება, რა ცხოვრების გზა გვაქვს განვლილი, რამდენი გაჭირვებისათვის გაგვიძლია, მაგრამ ასეთ უბედურ დღეში ჯერ არ ვყოფილვარ. ქვეყანაში თითქოს სიწყნარეა, წარსულთან განსხვავებით ქუჩაში ერთმანეთს არავინ კლავს, მაგრამ, საოცარი ის არის, რომ ყველაფრისადმი ინტერესი დავკარგე. გაგიკვირდება, მაგრამ ქორწილში ვარ თუ დაბადების დღეზე, იქაც მოწყენილი ვარ. ყველაფერი ცხოვრებისეული მეორეხარისხოვანი გახდა ჩემთვის.

– ეჰ, რას იზამ, – ამოიოხრა გიზომ, – მეც, შენი არ იყოს, დღევანდელი ცხოვრების ვერაფერი გამიგია, შენ რაღაცას ჩალიჩობ, მე კი, რა ვქნა, რა გზას დავადგე? მეც ვმუშაობ, ჩემი მეუღლეც, მაგრამ, რად გინდა, მაინც არაფერი გამოგვდის, არადა, ვგიჟდები, კაცო, სულ იმას ვფიქრობ, რანაირად ახერხებს ეს ხალხი ცხოვრებას, ალბათ, ჩვენ, ქართველები, ილუზიონისტები ვართ, ფული არ გვაქვს და მაინც ვახერხებთ რაღაცას. ქალაქში გახვალ და გაოცდები, ამდენი ხალხი ძვირადღირებული მანქანებით დადიან, ჩვენ კი, რა გვემართება, ვშრომობთ, ვწვალობთ, ვჯახირობთ და, რა მერე?! თვიდან თვემდე ძლივს გაგვაქვს თავი! მოკლედ, ჩემო ძმაო, ცხოვრება აღარ ღირს. შენთან დასამალი რა მაქვს და, გეტყვი კიდეც, კარგა ხანია დილით გაღვიძება აღარ მახარებს. როდესაც თვალს გავახელ და რომ წარმოვიდგენ, რამდენი პრობლემა მაქვს, ცუდად ვხვდები, გული ამიჩქარდება ხოლმე. საწოლთან, იქვე, პატარა მაგიდაზე, „ვალიდოლი“ მაქვს დადებული, მაშინვე ენის ძირში ჩავიდებ და ამით ცოტათი ვმშვიდდები. ასეთი ცხოვრებისათვის ვიკლავდით თავს?!

– რას ვიზამთ, – დაუყვავა როსტომმა, – ამ ცხოვრებაში ფული ყოფილა ყველაფერი. არადა, ის „დალოცვილი“ კომუნისტები რომ გვასწავლიდნენ – ფული და სიმდიდრე არაფერს ნიშნავსო, მთავარი ადამიანობა არისო, ბატონო, ხომ აღმოჩნდა ყველაფერი ტყუილი, მაგრამ მე ისე გავიზარდე, ისე აღმზარდეს მშობლებმა, რომ მაშინაც და ახლაც მჯერა, რომ მთავარი მაინც პატიოსნებაა და სწორედ ესაა ჩემი გაჭირვების მიზეზი! ამიტომაცაა, რომ დღევანდელ ცხოვრებას ვერაფერი გავუგე.

– მართალი ხარ, როსტომ, მართალი ხარ! – გააგრძელა ლაპარაკი გიზომ და კიდევ უფრო ღრმად ამოიოხრა, სიცხისაგან შეწუხებულმა, შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლილი სახე შეიმშრალა.

– ჰოდა, მაგას გეუბნები, ჩემო გიზო, რა მჭირს, რომ ამ ხნის კაცი ფულის საშოვნელად სათევზაოდ არ დავდიოდე, ჩვენ უკვე, შვილიშვილების პატრონებს, ეს არ გვეკადრება, სულაც, სახლში უნდა ვიჯდეთ და სიცოცხლით ვტკბებოდეთ!

– კარგი რა, რაზე ლაპარაკობ? – გაბრაზებული ხმით წარმოთქვა გიზომ. – რა ადამიანურ ცხოვრებაზეა ლაპარაკი, ადრე, ჩემო ბატონო, საქმე აწყობილი გვქონდა, საჭმლის პროდუქტები თავზე საყრელი იყო, კომუნალური გადასახადები – მიზერული, სწავლა-განათლება – უფასო, ერთმანეთი გვიყვარდა, ერთმანეთს პატივს ვცემდით, კაცი კაცობდა და ქალი ქალობდა...

– წარსულზე ნუღარ ლაპარაკობ! – სრაფად უპასუხა როსტომმა, თანაც, უკვე გაბრაზებულმა, ხმასაც აუწია – რაც იყო, იყო, ძველ დროს ვეღარ დავაბრუნებთ. ეტყობა, რაც გვიწერია, იმას ვეღარ ავცდებით. მაგრამ, ამ ბოლო დროს, სულ იმაზე ვფიქრობ, განა ჩვენ სწორად ვიცხოვრეთ?! მხოლოდ ჭამა-სმაზე ფიქრი და უზრუნველი ცხოვრება ნიშნავს სწორი გზით სიარულს?! მე მგონია, ღმერთის წინაშე არ ვიყავით მართლები. მოკლედ, სულიერი ცხოვრებისათვის არ გვეცალა, ამიტომაც დავისაჯეთ! შეიძლება, ალბათ, ასეა კიდეც. – დაეთანხმა როსტომი და თავი ჩაღუნა.

ერთხანს ორივე გაყუჩდა.

მზე უმოწყალოდ აჭერდა, სადარბაზოში შევიდნენ, ცხვირსახოცებიც მოიმარჯვეს და გაოფლილი სახე შეიმშრალეს.

დუმილი გიზომ დაარღვია – ამ ბოლო დროს, შენი არ იყოს, უარყოფითი ემოციები მახრჩობს. ყველაფერი შავ ფერებში მეჩვენება, არაფრის იმედი აღარ მაქვს...

– ამას, ჩემო კარგო მეზობელო, მედიცინის ენით „დეპრესია“ ჰქვია. – წარმოთქვა როსტომმა და ცისკენ აიხედა. ღრუბლის ნაგლეჯიც კი არ ჩანდა, აღარც ნიავი ქროდა, სადარბაზოში შმორის სუნი იდგა.

– დეპრესიაა თუ მელანქოლია, ამდენი არ მესმის, მაგრამ ჩვენი საქმე რომ ვერ არის კარგად, ამას ნათლად ვხედავ. – წარმოთქვა გიზომ და ღრმად ამოიოხრა. შემდეგ კვლავ როსტომს შეხედა, მხარზე ხელი დაადო და შეეკითხა – ხვალაც აპირებ სათევზაოდ წასვლას?

– აბა, რა ვქნა, მეტი რა გზა მაქვს? იცი რა მიკვირს, ჩემო გიზო, შენც ხომ იცი, როგორი კაცი ვარ, არადა, რას გიხსნი, თითქმის ნახევარი ცხოვრება ერთად მოვდივართ, კარგი მეზობლები ვართ. როგორც ჩვენში იტყვიან „ჭიანჭველასთვის ფეხი არ დამიდგამს“. წარსულში არაფერი ცუდი არ ჩამიდენია, არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია და ბოროტებას გულშიც რომ არ გავივლებ, ეს შენც კარგად მოგეხსენება. აი, შენ რომ სთქვი, ჩვენ არასწორად ვიცხოვრეთო, ძალიან ბევრი მიფიქრია ამაზე და იმ აზრამდე მივედი, იმის ბრალი ხომ არ არის ყველაფერი, ღმერთი რომ არ გვწამს – ამიტომ ხომ არ ვისჯებით-მეთქი? მაგრამ, რაშია საქმე, იცი? მე რელიგიის მიმართ ჩემებური დამოკიდებულება მაქვს, მთავარია გულით გწამდეს და ამდენი რიტუალები სულაც არ არის საჭირო.

– აბა, რა გითხრა, როსტომ. – შეაწყვეტინა ლაპარაკი გიზომ – ნაწილობრივ მეც გეთანხმები, ამ საკითხზე ფიქრით ტვინი მიჭყლეტია. თუ დაკვირვებიხარ, ადამიანები დღე და ღამე სულ ეკლესიაში დადიან, მარხულობენ, ზიარებასაც იღებენ, შემდეგ გამოდიან ტაძრიდან და ათას სისაძაგლეს სჩადიან. ამას კი სჯობია, პატიოსნად იცხოვრო და სიკეთე თესო....

– მართალი ხარ, გიზო, მაგრამ, ეტყობა, ჩვენ სიღრმისეულად არ გვესმის, ძალიან ზედაპირულად აღვიქვამთ ყველაფერს. ისე კი, შინაგანად ვგრძნობ, რომ ყველაფრის საწყისი ღმერთია. რომ ის არის ყველაფრის გამგებელი და მამოძრავებელი. მის გარეშე სამყაროში და დედამიწაზე არაფერი ხდება! – წარმოთქვა როსტომმა და მეგობარს მიაჩერდა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

სიცხემ უფრო დააჭირა.

დუმილი როსტომმა დაარღვია – გახსოვს, გუშინ რომ შემხვდი და რომ მითხარი, სამი დღე რატომ არ ჩანდიო? მაშინ ვერაფერი გიპასუხე, ძალიან მეჩქარებოდა. ამისთვის ბოდიშს გიხდი, მაგრამ ახლა კი ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები.

– ისე, სიმართლე გითხრა, ძალიან გაოცებული ვიყავი. შეგატყვე, რაღაც ვერ იყავი ხასიათზე, მაგრამ ვერაფერი გითხარი. ვერ შემოგბედე – უპასუხა გიზომ და თავი ჩაღუნა.

– ჰოდა, ჩემო კარგო, სამი დღის წინ ოჯახში მართლაც ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, შენც კარგად მოგეხსენება, აგვისტო იწურება, ჩემი შვილიშვილები კი, სასკოლოდ ემზადებიან. წიგნები გვქონდა საყიდელი, მაგრამ ფული, საერთოდ, არ გვქონდა, ვისთან არ მივედით, მაგრამ ყველამ უარი გვითხრა, ვინ რა მიზეზით და ვინ რა, ხომ იცი, რა დროა, რომც ჰქონდეს, მაინც არ მოგცემენ, ყველა თავის თავზე ფიქრობს. შენთვის მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე, ვიცი, შენი მდგომარეობაც და ამიტომაც გადავწყვიტე, გავრისკავ, კვლავ სათევზაოდ წავალ და ეგება ბედმა გამიღიმოს და მტკვრის „ჭანარი“ დავიჭირო, ის დალოცვილი თევზი ძალიან ძვირი ღირს. გავყიდი და რაღაც მეშველება-მეთქი. მაგრამ, ნერვიულობის ნიადაგზე წნევამაც ამიწია, ამის გამო წამლები ჩავაწყვე ჩანთაში, ანკესი მოვიმარჯვე და გზას გავუყევი....ცოტა ხანში მტკვრის პირას მოვკალათდი, ანკესი გავმართე, შემდეგ კი ტივტივას დავუწყე გულმოდგინედ ყურება. უცებ თავზე პატრულის თანამშრომლები დამადგნენ და მთხოვეს, მაშინვე დამეტოვებინა ტერიტორია. როცა მიზეზი ვკითხე, რაშია საქმე, რატომ მაიძულებთ აქედან წავიდე-მეთქი, მიპასუხეს, გუშინ, ამ ადგილას, კაცი დაიღუპა, გაჭირვებას ვეღარ გაუძლო ამ უბედურმა, ხიდიდან გადახტა და თავი მოიკლაო. ამიტომ, ახლა მყვინთავები უნდა მოვიდნენ და ცხედარი უნდა მოვძებნოთო.

– რაღა ეს ადილი აირჩია თავის მოსაკლავად – გაოცებულმა ვიკითხე. პატრულებმა მხრები აიჩეჩეს და გაკვირვებით შემომხედეს. მე კი, ჩემი დამემართა, მაშინვე ფეხზე წამოვხტი, თავში ხელი შემოვირტყი, გავიფიქრე – რაღა გუშინ მოუნდა ამ შობელძაღლს ამ ქვეყნიდან წასვლა, ეს უნდოდა ჩემს გაჭირვებას-მეთქი. დავავლე ხელი ანკესს და დაბოღმილი წამოვედი სახლში, შემდეგ ოთახში ჩავიკეტე და კარგა ხანია გარეთ აღარ გამოვსულვარ. ამიტომაც არ ვჩანდი ის სამი დღე. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემმა ბიძაშვილმა გვასესხა ფული და ამით გადავრჩით!

ამ სიტყვების გამგონე გიზომ წამიერად შეხედა როსტომს და გაოცებულმა გვერდზე გაიხედა. შემდეგ, შემოტრიალდა და შემკრთალი სახის გამომტყველებით კვლავ როსტომს მიაშტერდა. უნდოდა ეპასუხა, მაგრამ გადაიფიქრა. აღარ იცოდა რა ექნა, სულ დაიბნა კაცი. ძალიანაც უნდოდა საუბრის განგრძობა, მაგრამ საშინელი სიცარიელე იგრძნო. ამიტომ მასთან ლაპარაკს, დუმილი ამჯობინა.

თამაზ ზერეკიძე

მგელბიჯა

ვარ მოყმე მთაში შობილი, შვილი ერთგული თუშისა,
მოყვრისთვის ცხელ გულს ვატარებ, მტრისთვის
– გაყინულს, უშიშარს,
ნაღდ სტუმარს ხინკალს მივართმევ, მომხვდურს
– ალიყულს მუშტისა,
ჩემი სიტყვაა ბეჭედი, განა ნაფხრეწი ბუშტისა.

კაცს ვამჯობინებ პირნათელს, არ ვარ მოყვარე კუშტისა,
რაცა მაქვს, საპყარს ვურიგებ – ქებას ვინ იტყვის ძუნწისას,
მტევანს რომ ობოლს მივართმევ, კუდს დავიტოვებ ყუნწისას,
სამშობლოს კვნესა გულს მიკლავს, როგორც გოდება მუნჯისა.

არწივებს შორის გავზრდილვარ, მიმინოდ – არა ქორადა,
დუშმანი ბევრჯერ ვატირე – არ გეუბნებით ჭორადა,
მტერი კვლავ შემოპარულა, დღესვე მივდივარ ბრძოლადა,
ერთი ვიყავი მგელბიჭა, უნდა გადვიქცე ორადა.

ქალაუ, ცრემლი დამალე – სახლში ვით დავრჩე მძორადა,
მხოლოდ თვალებზე გაკოცებ, ჯერ ტრფობა გვქონდეს შორადა,
მოვკვდე და ქვრივად დაგტოვო – არ მიმაჩნია სწორადა,
წავალ, მტერს ძმობას ვასწავლი – მოვალ, მოგიყვან ცოლადა.

მე საქართველო მტკიოდა

აგვისტოს ცეცხლში გახვეულს გორის ციხესთან მციოდა,
თავს არ მანებებს აფთარი, სულ ახლოს ტურა კიოდა,
ჩრდილოეთიდან უბერავს ყინულოვანი სიო და
ლიახვის სისხლის შხეფები ენგურსგადაღმა ცვიოდა.

ცრემლს ღვრიან ქართლის ბაღები, ვენახი კარდანახული,
ზამთარში თოვლი გამინწყდა, აღარც მზე მათბობს ზაფხულის,
კიდევ დუჟინი ჯავრი მკლავს, ცოცხალი, არ დამარხული,
ამ წუთს ვიკვნესე გარეჯი, გუშინ – ოშკი და ხახული.

არც ილია მყავს, არც ვაჟა, არც მე ვარ გალაკტიონი,
მცხეთას წევს ხმალდახარჯული ერეკლე ბაგრატიონი,
შვილიშვილებიც წასულან – კახაბერნი და შიონი
და მდგმურებს გაუძარცვიათ აქეთა კავკასიონი.

ურვამ თვალები გამიშრო, ცრემლი გულიდან მდიოდა,
ვეცადე, ბოღმა მეყლაპა – ყელში არ გადამდიოდა,
ვხედავდი, ბედი ხვალისა უფსკრულზე გადადიოდა,
და ჩემ ტკივილზე ძლიერად მე საქართველო მტკიოდა.

თავისუფლების ძებნაში ჭირი გათავდა აღარა,
ერთი ბრძოლაც ვერ მოვიგე, უქმად მიგდია ნაღარა,
ავაზაკებმა წაბილწეს ჩემი მიწა და ჭაღარა,
უცხოტომელი მკარნახობს: სად „ჰო“ უნდა ვთქვა, სად – „არა“.

სოფლად მამალის მაგიერ უსამართლობა ყიოდა,
ერთხელ არ დამიჩივლია, როცა მე თავად მშიოდა,
მაგრამ ზოგს გრამი არ ჰქონდა, ზოგს ტონა გადასდიოდა,
მტერთაგან დაჭრილის გარდა ეს საქართველოც მტკიოდა.

ღამე

ღამე, დიდო ღამე,
ვისთვის ითვლი წამებს?
მასვი დარდი შენი,
ფიქრი დამიამე.

ღამე, ცივო ღამე,
რად არ მომესალმე?
ნუთუ ვერ მიცანი,
მე ვარ, ოღონდ სხვა მე.

ღამე, ბრძენო ღამე,
სად შენა და სად – მე?
იქნებ თავი ჩემი
მაპოვნინო სადმე.

ღამე, გულქვა ღამე,
სიტყვა მითხარ რამე,–
წყვდიადს ათამამებ,
მე კი რად მაწამებ?

შემოდგომის ნადარდალი

ფიქრად მსტუმრობს რიგრიგობით ხან ნათელი, ხან
– წყვდიადი,
ხან სამეფო სუფრასა ვშლი, მენატრება ხან ხმიადი,
ყალყზე დგება მეცხრე ტალღა, დამთრგუნველად გულზვიადი,
დიდი ღამე აღესრულა, იგვიანებს განთიადი.

მირბის რაში უგზოუკვლოდ, გზად წინ უდევს ველი ჭანგის,
სოფელს მტერი შესევია – გმირი იბრძვის, მხდალი გარბის,
ზღვათა შორის მოფარფატევ, ზღვად ქცეულა შენი დარდიც,
ბედჩაგრულო ჩემო მიწავ, ეჰ, ნეტავ რად შემიყვარდი.

მირბის რაში უგზო-უკვლოდ, სისხლნადენი ეკალბარდით,
მინდობილი ბედისწერას - უცხო სულის, უცხო თარგის,
გზაზე ნისლი გაშოტილა, ნაზამთრალი სევდა ბარდნის,
ავაზაკი მგზავრებს ძარცვავს განურჩევლად ავის, კარგის.

გულთა კარი ჩარაზულა, მოსდებია ბოქლომს ჟანგი,
დიდხანს გვასვეს ღვარძლის ბანგი – დაუგია მტერს ხაფანგი,
დიდ-პატარა, ქალი, კაცი, აღჭურვილი ეკლით ზღარბის,
უვიციც და მცოდნეც დარგის, თავს იწონებს ჭკვასიჭარბით.

მირბის რაში უგზოუკვლოდ, ნადირთ ხროვა მისდევს ხარბი,
მომავალი მირაჟს უგავს, ბედ-იღბალი – მღერას ნარდის.
სამართალი გარდაცვლილა, ბოროტებას არვინ არ სჯის.
ობოლ ბატკანს მგლის კანონით ისევ თავად მგელი განსჯის.

მირბის რაში უგზოუკვლოდ, გზას ვერ ხედავს რამე ვარგისს,
დატვირთული ცოდვის ბარგით, ძველებურად ველარ დარბის,
მირბის რაში უგზო-უკვლოდ, მეშინია უფსკრულს ვარდნის,
მკვრადშობილა განთიადი – მოდის ღამე ისევ დარდით!

***

მადლი არამად ქცეულა, სიყვარული – სიძულვილად,
გულში სითბოს ვიღა ჩივის, გულში უკვე აღარც გრილა.
ვერ ვიხსენებ, პირმცინარი როდის ვნახე ბოლოს დილა,
ექვთიმე და თამარ მეფე?! – შადიმანიც აქ გაზრდილა!

გორის ციხის გალავანთან ომი ბევრი გადახდილა,
მამა-პაპა აქ დავმარხე, მეგობარიც – ჩემი კბილა,
მართა ბებოს სათნოება მახსენდება ოჰ, რა ტკბილად,
ქალის ერთი თბილი მზერა სიყვარულში გადაზრდილა.

ჩამქრალია ჩემი კერა, მეზობელიც გარდაცვლილა,
ჭიშკრის კარი მორყეულა, სახურავი გადახდილა,
სულიერი არვინ არ სჩანს, ნაკვალევი აქ წაშლილა,
კედელს ბზარი გასჩენია, სავსე ქვევრი სულ დაცლილა.

მოღებული სარკმელიდან საკვამური გამოჩრილა,
გაძარცვულა კარ-მიდამო – თითქოს წყევლა შემოჭრილა,
გველიც სადმე იქნებ ბუდობს, – ჩანს, რომ უნდა ვიყო
ფრთხილად,
ეჰ, სამშობლოვ, ვინ გაგწირა? ვაჰ, სოფელო, ეს რა ქმნილა!

***

აქეთ ბოღმა – იქით შური, სიმართლეც კი ტყუილს გვესვრის,
შუღლით მორწყულ ნიადაგში, მტრობად ყვავის
გესლის თესლი,
გაზაფხულის მახარობლის მე ჭიკჭიკი აღარ მესმის,
ორფეხება ბოროტებას მოუშლია ბუდე მერცხლის.

გულტიტველა თოთო ბარტყი, ჯერ პატარა, ფრთასაც
ვერ შლის,
ნაჭუჭებიც იქვე ყრია, გატეხილი მერცხლის კვერცხის,
მამა კედელს ეხეთქება, თმაგაშლილი დედა კვნესის,
ვარდი ჩუმად იცრემლება, კანკალებს და ნიავს ეკვრის,
გული ყელში მებჯინება, ჩემი ცრემლიც მისას ერთვის.

მამულს ფასი დავარდნია, ზეობაა ოქრო-ვერცხლის,
ვიღაც უცხო, ცულით ხელში, პაპისეულ ჭერმის ხეს ჭრის,
ძველი წელი სულსა ღაფავს, ხმა არ ისმის ახლის მეკვლის,
შარშანდელი წლევანდელს სჯობს, უარესი მელის მერმისს.

ჩახერგილა მისასვლელი და შამბნარი ეზოს ერტყმის,
კაკალია დასაბერტყი, მაგრამ ვის აქვს თავი ბერტყვის,
– ვინახავდი, ძმაო, შენთვის, – ღრუბლის შავი ქულა მეტყვის, –
ირგვლივ კაცი აღარა გყავს, ანაბარა დარჩი სეტყვის.

ვერც ფიალა ველარ ვნახე – სადღეგრძელო ველარ შევსვი,
ვნახე მხოლოდ ნამსხვრევები უბედური ჩემი ქვეყნის,
სიტყვაც მხოლოდ მძიმე მოდის, იმედი მაქვს აღარც ღმერთის,
რა უიღბლო გავჩენილვარ – მომსწრე გავხდი
ქვეყნის შერყვნის.

***

დიდ ვეზირად აღავლინეს მორჩილებით, განა გვარით,
ხელმწიფისგან ჯილდოს ელის სულმოკლე და მათხოვარი,
მონყალების რიგში დგანან კაციცა და ნაკაცარიც,
უგვანოთა დაფასება, რა თქმა უნდა, აქაც არის.

არაკაცთა შემხედვარე გული გასკდეს სადაც არის,
აქ ტაძრიდან მოუპარავთ ანთებული კელაპტარი.
უფალია უცხო მხარეს – ჭირვეულობს ზენა ქარი,
ღმერთის ტახტზე კაცი ჯდება ოქროს ზვინთან შენაყარი.

ფლიდი ცოლი ქმარს ატყუებს, ცოლს ღალატობს მრუში ქმარი,
პირჯვარს იწერს ყელზე ჯვარით, გარეთ – კრავი, შიგ
– აფთარი,
უფალს გულში გასჩენია უნდობლობის, თურმე, ბზარი,
ჩვენვე თუ ვერ ამოვავსეთ, ვაი, ჩვენი თავის ბრალი!

დარეჯანთან მჭერმეტყველებს ლუარსაბი გამაძღარი,
უპატრონოდ გადამხმარი ბაღ-ვენახი უწყლოდ არის,
გაქცეული სევდას ებრძვის ცას შემყურე უცხო მხარის,
ვშიშობ, ჩვენთვის დახურულა უფლის გულის ფართო კარი.

ვერ ვიხსენებ როდის იყო – დრო გასულა უხსოვარი,
მეხრეს სახრე დაუგდია, გაუხდია ჯარს აბჯარი,
ეს სოფელი არ მეცნობა, ეს სოფელი უცხო არის,
ამ ეზოში ვარდი დავრგე, ამოსულა რად ჭინჭარი ?

აღარ ვიცი, რა ვიგლოვო, რომელი და სად რა ჯავრი,
აღარც ღმერთმა არ ისმინა ცოდვილების სათხოვარი,
მაძებარი წვეთი ცვარის მთის ფერდობზე ბღავის ცხვარი,
სულსა ღაფავს ასნლოვანი ბერი მუხა ნამეხარი.

ზარბაზნების ყეფა ისმის – არ ისვენებს ის მზაკვარი,
მკვდრების ველზე ერთად წვანან მხედარი და სახედარი,
გაუთელავთ ბაღ-ბოსტანი, შეულეწავთ ფუძე-კარი,
ცხრა სოფელი დაუგდიათ გადაბუგულ-გადამწვარი,

ნამუსახდილ ქალიშვილი – გაზაფხულის სუნთქვის დარი,
ხიშტით გულში დაცხრილული გოგოს მამა – ზედ დამკვდარი,
აკეპილი მოძალადე – ცულით ხელში საქმრო ბღავის,
ლიახვისპირს ქვა ტიროდა, წყალი იყო ცრემლგამშრალი.

ჩემს ჭიშკარსაც ამჩნევია პირუტყვების ნატყვიარი,
გადამთიელს ძმათა შორის გაუვლია აქ საზღვარი,
გულამოცლილს აღარ მესმის დღისით მზის და ღამით
– მთვარის,
აღარ მესმის არც ბუტბუტი მობუტბუტე ტატოს მტკვარის.

პირტიტველა უცნობ გმირთა მიაბარეს ცხრა ცხედარი,
ოდითგანვე ასე იყო, დღესაც იქნებ ასე არის:
ხალხი გმირებს არ ივიწყებს, მასთან ცოცხლობს ომში
მკვდარი,
ზოგიერთი ცოცხალი კი მკვდარზე უფრო არის მკვდარი.

ნაცნობ ადგილს ვერ ვპოულობ, მექცა ალბათ, სადმე მხარი,
დანმენდილი სიტყვის ნაცვლად ბილწის მოსჩქეფს ნიაღვარი,
მარტო ერთი ბრძენი ვნახე, მადლობა ღმერთს,
ჯერ მხნედ არის.
თუმც არ ისმის სიტყვა მისი – ახშობს ბრიყვთა ნაბოდვარი.

***

ჯერ მაცოცხლებს თბილი სიო წარსულიდან მონაბერი,
სანამ კიდევ ცოცხალი ვარ – ვერ ვიქნები სოფლის გერი,
სულით-ხორცით ამ ცის შვილსა სხვისი არ მაქვს ერთი ღერი,
გული დამაქვს გაფილტრული, ერთგულება – განაცერი.

პურს თონისას გეახლებით, ღვინოსა ვსვამ მხოლოდ ქვევრის,
სათნოება ვნახე ბევრი, უკეთური – ბევრზე ბევრი,
ადრეც გვყავდა გაიძვერა, ცბიერი და ქვეყნის მტერი,
ქერის ორმოს გვპირდებოდა, ხალხს არ ჰქონდა როცა ჭერი.

მენატრება წრფელი ხალხი, გულმრთელი და ძმის იერით,
დალოცვა და ჭერის ახდა ნამდვილ მრავალჟამიერით,
ყმაწვილების სიჩაუქე, დარიგება ჟამ-ხნიერის,
ჩემი ზღვა და მინდორ-ველი – საჩუქარი ღვთისმიერი.

გაქრა არსი გონიერი, ჭკუას გაცდა ერი-ბერი,
მზეჭაბუკი, ხეიბარი, მახინჯი და მშვენიერიც,
აღრეული ველარ ვიგებ – როდის ვტირი, როდის ვმღერი,
სიფხიზლეს რომ ვერ გავუძელ, შხამი ვსვი და მეც დავთვერი.

როცა იწვის ობლის კვერი, როცა გული ველარ მღერის,
როცა ყელზე გებჯინება შენივე ძმის ხანჯლის წვერი,
როცა ჭკვიანს მოძღვრავს შტერი, როცა ნეკას უფრთხის ცერი,
როცა ლურჯფერ ალმასს ჯაბნის ყალბი ქვისგან მონაჭერი.

როცა ვერცხლი ლაპლაპებს და ოქროს ადევს სქელი მტვერი,
როცა თაღლითს სწყალობს ერი და მშიერი წვება ბევრი,
როცა ჩაგრავს სათნოებას ბოროტი და ღონიერი,
როცა ყბედობს უგუნური, ჩუმად არის გონიერი.

სადაც ფქვილი ქატოდ რჩება, არ საცერობს არც საცერი,
სადაც მახინჯს თავს დაუხრის ანგელოზზე მშვენიერი,
სადაც ღვთიურ ბაღნარს უჯობთ ტკბობა ერთი წამიერი,
ნუთუ ეთქმის იქ ხალხს ერი, მითუმეტეს, ბედნიერი?!

„ოცდაერთი ოქვა ჩემს სულს...“

სოსო გიქოშვილი

ქართველ სიმბოლისტთა სამოღვწეო ასპარეზზე გამოსვლამ ახალი შემოქმედებითი იმპულსი შესძინა ლიტერატურულ ცხოვრებას გასული საუკუნის ათიანი წლების საქართველოში. პირველმა ლიტერატურულმა კორპორაციამ სერიოზული ცვლილებები შეიტანა მანამდე არსებულ ერთფეროვან პოეტურ აზროვნებაში, დაიწყო პროგრესი ქართული ლექსის მოდერნიზაციისა, რომელშიც თანამოკალმეებთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანა კოლაუ (ნიკოლოზ) ნადირაძემ (1895-1987 წ.წ.), როგორც დეკადენტურ-სიმბოლისტური სკოლის უაღრესად თვითმყოფადმა ხელოვანმა. პოეტი სავსებით იზიარებდა რა სიმბოლოზმის ძირითად ესთეტიკურ პრინციპებს, აუცილებლობად მიიჩნევდა ახალი ლიტერატურული მიმართულების დამკვიდრებას ეროვნულ პოეზიაში.

ზოგადად, დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქნებ უხერხულიც იყოს ცისფერყანწელებზე საუბარი, რადგან მათი ღვაწლის შესახებ მრავალგზის თქმულა და დაწერილა, მაგრამ ჩვენ ერთმა გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ ჩვენეული ხედვით წარმოგვედგინა არა ზოგადი, არამედ კონკრეტული მოვლენა ცისფერყანწელთა ლიტერატურული ცხოვრებიდან, შეგვეტანა მცირეოდენი სიახლე ამ მიმართულებით, თუმცა აქვე გავითვალისწინეთ ფრანგი სიმბოლისტის – პოლ ვალერის შეგონებაც: „არაფერი ისე სწრაფად არ გაივლის, როგორც ყოველივე სიახლე“. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალი თაობები სულ ცოტა ხნის შემდეგ ხელახლა გააზრებენ ცისფერყანწელთა შემოქმედების არსს, ახლებური ინტერპრეტაციით შემოგვთვაზებენ თითოეული სიმბოლისტის პოეტურ ხედვას.

დრომ, ყველაზე ობიექტურმა მსაჯულმა, დაამტკიცა, რომ ქართული სიმბოლისტური სკოლა იმ ეპოქის სინამდვილეში სულაც არ ყოფილა მარტოოდენ სიახლე, არამედ, ეს იყო რაღაც სხვა, გაცილებით უფრო მეტი. მათი პოეტური მრწამსი, მათი მეგობრობა და საოცარი სიყვარული ყოველივე ეროვნულისადმი, დღემდე ლამაზ მოგონებად დარჩა მთელ საქართველოს. აი, რას წერდა ცისფერყანწელთა ერთ-ერთი თეორიტიკოსი პაოლო იაშვილი თანამოაზრეების შესახებ 1924 წელს გაზეთ „ბარიკადში“: „ცისფერყანწელები ერთი პოეტია, ამაშია მისი ძალა, რამდენიმე წელიწადი გავძელით ჩვენ გაუსაძლის საქართველოში, რადგან სიყვარულის გარდა ვიცოდით ერთმანეთის პატივისცემა. ნურავითარი სკოლა მწერლობაში ნუ დარწმუნდება, რომ დიდხანს გასტანს, თუ არ იქნება შინაგანი გამტანობა“. და, მართლაც, ამ მშვენიერმა პოეტთა საძმომ თითქოს მთლიანად შემოგვინახა დამოუკიდებელი საქართველოს სილაღე, უკანასკნელი გულისცემა ერთიანი სამშობლოსი. და თუ ვინმემ ჭეშმარიტად დაიტირა მამულის თავისუფლების დაკარგვა, მხედველობაში გვაქვს 1921 წელი, სწორედ ცისფერყანწელები იყვნენ. ალბათ, ისიც სიმბოლურია, რომ კოლაუ ნადირაძემ, აღნიშნული ტრაგიკული მოვლენიდან ორმოცდარვა წლის შემდეგ, შექმნა ლექსი – „ 25 თებერვალი – 21 წელი“:

„ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგიკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!“

კოლაუ ნადირაძეა სწორედ ის ცისფერყანწელი, რომელსაც დღეს უკვე მითადქცეული სინამდვილით უცხოვრია, სწორედ მან, ერთ-ერთმა პირველმა, ვალერიან გაფრინდაშვილის შემდეგ, გამოსცა პირველი პოეტური კრებული სახელწოდებით – „ბალდახინი“, 1920 წელს, ქუთაისში, სანდრო ცირეკიძის მიერ დაარსებულ გამომცემლობა „კირჩხიბში“. როგორც ცნობილია, სიმბოლიზმის ფილოსოფიურ საფუძველს სუბიექტური იდეალიზმი წარმოადგენს, ანუ ასახვის საგნად აქცევს არა ობიექტურ სინამდვილეს, არამედ გონების თვალით შექმნილ ირეალურ სამყაროს, ახდენს მის მისტიფიკაციას. კოლაუ ნადირაძის პირველ პოეტურ კრებულში მოთავსებული ლექსების გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ პოეტის ლირიკა ძირითადად დამყარებულია ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებზე, რომლის შთაგონების წყარო ეროვნული განცდაა, თუმცა აქა-იქ ჩნდება მედიტაციური ხასიათის ლექსებიც. კ.ნადირაძე, როგორც სიმბოლისტი, ამქვეყნიურ ცხოვრებას მიიჩნევდა მოსამზადებელ საფეხურად იმქვეყნიური მარადიული არსებობისათვის. ამ თვალსაზრისით პოეტი აღიარებს რა პლატონის იდეალისტურ თეორიას, მის შემოქმედებაში უხვად სჭარბობს მისტიკური სახე-სიმბოლოები. ამდენად, დიდი ძალისხმევა აღარ გვჭირდება გავიაზროთ, თუ რატომ უწოდა სიმბოლისტმა პოეტურ კრებულს უჩვეულო სახელი – „ბალდახინი“. თუმცა, საქმე სულ ასე მარტივად როდია. აღნიშნული გამოცემის შესახებ მისი პირველი რეცენზენტი ტრისტან მაჩაბელი ცისფერყანწელთა ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ წერდა: *„ეს სათაური ღირსეული გვირგვინია წიგნის. ერთი მიღწევა ნადირაძის არის სათაური, რომლითაც მთელი წიგნი განათებულია, როგორც შავი მეტეორი. მისი ავტორი ჯოკონდას რაინდია და მისი პოეტური გერბი დამშვენებულია მონა ლიზას ღიმილით. „ბალდახინის“ შემდეგ კოლაუ ნადირაძის სახელი შეუერთდება ქართული პოეზიის თავადების კეთილშობილურ სახელებს“. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ „ბალდახინის“ გამოცემას ე.წ. საბჭოური სალიტერატურო კრიტიკა მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამოეხმაურა,* 1973 *წელს, ისიც, მრავალნაცადი ტენდენციურობით და მის შემოქმედს, უკვე მხცოვან,* 78 *წლის პოეტს „ხალხისგან მონწყვეტილი, ახალბედა მწერალი“ უწოდა. ცრუ კრიტიკოსთა გააზრებით, კოლაუ ნადირაძე ახალგაზრდობიდანვე მოწყვეტილი იყო სოციალურ და ეროვნულ ტკივილებს, რომ ვერ მოახერხა მიეგნო „განკურნების გზისთვის, ვინაიდან არ იყო დაკავშირებული ხალხთან, ეს კი ბუნებრივად ცხოვრების ამაოების განცდას და ახალბედა შემოქმედში დაცემულობის განწყობას იწვევდა. სწორედ, ამ ნიშნით ხასიათდება კოლაუ ნადირაძის ლექსთა პირველი კრებული“* (ბაქრაძე, 1990:205).

საერთოდ, ქართველი სიმბოლისტები ლიტერატურული გამოცემების სათაურებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ეს იქნებოდა პერიოდული პრესა, ალმანახები თუ საკუთარი პოეტური კრებულები. სანდრო ცირეკიძე გამომცემლობა „კირჩხიბის“ დამაარსებელი აღნიშნულის შესახებ ამბობდა, რომ: *„ქართულმა ლიტერატურამ შემთხვევით როდი იცოდა საინტერესო სათაურები. და, მაინც, სათაურის კულტურა ჩვენში უეჭველად ახალმა შკოლამ შემოიტანა, ამიტომ „ცისფერყანწების“ შემდეგ წერის მანერა, გზა შეუპოვრად მიდის სათაურისკენ. შეიძლება შეიცვალოს კითხვის მანერაც და მომავალმა ერუდიტმა მარტო სათაურები იცოდეს“.*

ვფიქრობთ, კოლაუ ნადირაძის პირველი წიგნის სახელწოდება პოეტის მაშინდელი სულიერი მდგომარეობის გამომხატველია, რომ ჭეშმარიტი ცისფერყანწელი მისტიური სიმბოლური სახეებით აზროვნებს, თუმცა, თავად წიგნის ავტორი, „ბალდახინის“ შერქმევას ასე ხსნიდა: უკვე დაბეჭდილი თითოეული ლექსი პოეტისთვის მკვდარია, მის გასასვენებლად კი საჭიროა დიდებული ჩარდახანი ეტლი – ბალდახინი.

წიგნი სამ კარადაა დაყოფილი, სამივეს კი საკუთარი სახელწოდებები აქვს წამძღვარებული, მაგალითად: I კარს „მთვარის ქურდები“ ეწოდება და, როგორც კოლაუ ნადირაძე შენიშნავს, ეძღვნება ელენე დარიანს, ძვირფას დას. II კარს – „კეთროვანება“ ჰქვია, ხოლო III კარისთვის პოეტს „ბალდახინი“ უწოდებია. აქვე უნდა ვთქვათ, რომ კრებულში შეტანილი ლექსებიდან ბევრი მათგანი ისედაც დაბეჭდილი იყო ცისფერყანაწელების პერიოდულ ჟურნალებში – „ცისფერ ყანწებსა“ და „მეოცნებე ნიამორებში“.

პირველ კარში გაერთიანებული ლექსებისთვის საერთოა სევდიანი განწყობა და ლირიულობა, რაც, მიუხედავად ამისა, არ გამორიცხავს, საერთოდ, ცხოვრების არსზე თუ ხვალინდელ დღეზე დაფიქრებას. პირველი კარი – „მთვარის ქურდები“, თავისი მიძღვნითი ხასიათით გაოცებას იწვევს, უფრო სწორედ, ერთგვარ აღმოჩენას ემსგავსება და, აი, რატომ: ცნობილია, რომ პაოლო იაშვილის საუკეთესო ლექსებს „დარიანულს“ უწოდებდნენ თავად ცისფერყანწელები, მათ შორის კოლაუ ნადირაძეც. როდესაც პოეტისთვის უკითხავთ თუ რას იტყოდა თავისი მეგობრის „დარიანული“ ლექსების შესახებ, ასე უპასუხია: *„ელენესა და პაოლოს რომანი ჰქონდათ. პირველად ხელთათმანი ელენემ გადაუგდო. ელენე სახელი იყო, „დარიანი“ კი „დორიან გრეის პორტრეტიდან“ წამოიღო. ვთვლი, რომ ელენე დარიანი მხოლოდ პაოლოს „საკუთრება იყო“.*

რა შეიძლება ითქვას თავდაპირველი კარის – „მთვარის ქურდების“ სახელწოდებაზე? ცნობილია, რომ მთვარე და მისი კულტი ქართულ პოეზიაში ახალი არ არის, ტრადიციულია. ეროვნულ მწერლობაში მთვარე პირველად რომანტიკოსებმა დაამკვიდრეს, როგორც ერთგვარი მხატვრული სიმბოლო (ალ.ჭავჭავაძე „გოგჩა“; ნ.ბარათაშვილი „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ღამე ყაბახზედ“; ს.გ.), ხოლო ცისფერყანწელებმა სხვა ელფერი მისცეს მთვარისა და პოეტის სულიერ სიახლოვეს. მათ თითქმის მთვარეულების მსგავსად შეიყვარეს ღამის მნათობი და მეტი შინაარსობრივ-სიმბოლური გაგება მიანიჭეს თავიანთ შემოქმედებაში. იქნებ, სწორედ ამიტომ წერდნენ „ფუტურისტები“, ცისფერყანწელთა ლიტერატურული სკოლის მოწინააღმდეგენი, რომ „ელექტროენერგიის შუქმა ჩააქრო მთვარე და მეოცე საუკუნე აღარ იცრემლება სენტიმენტალობითო“. წყვდიადი, ღამეული ჩვენებები თუ ლანდები, ყოველთვის ხიბლავს რომანტიკული სულის მქონე ადამიანს, განსაკუთრებით თუ ის შემოქმედია და, მითუმეტეს, თუ პოეტში არის ორი საწყისი: ღვთიური და დემონური, წარმოუდგენელია მთვარეს არ ეთაყვანოს. გარდა ამისა, მთვარის კულტის დამკვიდრება ჩვენს ლიტერატურაში, ვფიქრობთ, განაპირობა იმანაც, რომ ქართველი კაცი ქრისტიანობამდე, წარმართობის ხანაში მთვარეს ეთაყვანებოდა. ამდენად, აღარ უნდა იყოს გასაკვირი თუ რატომ დომინირებს ეს მნათობი ცისფერყანწელთა შემოქმედებაში. აი, რას წერდა ტიციან ტაბიძე ჟურნალ „ცისფერყანწების“ მეორე ნომერში: *„ჩვენ შევიქენით ქრისტიანები, ხოლო მისი ასკეტური ფილოსოფია ჩვენგან შორს იყო, ჩვენ დავრჩით ისევ წარმართები, შეიძლება იმიტომ, ქრისტიანები ვიყავით ქრისტიანობამდე“.*

„ბალდახინის“ პირველი კარის პირველი ლექსია – „ძველი რითმებით“, რომელსაც განსხვავებული იდეური დატვირთვა გააჩნია. მაშინ, როდესაც „ყანწელები“ უარს უცხადებდნენ ყოველივე ძველს და, მათივე თქმით, ადიდებდნენ ახალ, მკაცრსა და გაბედულ სიტყვას, მაშინ რატომ წერს კოლაუ ნადირაძე ლექსში *„ძველ რითმებს ვეთაყვანებიო?“* ამასთან დაკავშირებით ვალერიან გაფრინდაშვილი წერს: *„რითმა სტრიქონის ბრწყინვალე მსაჯულია, რითმის გამართვაში „ყანწელებმა“ გადამწყვეტი როლი ითამაშეს და, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რითმა მათი შექმნილია“* (*გაფრინდაშვილი*, 1990:41). კოლაუ ნადირაძის ეს ტრადიციული, რითმიანი ლექსი არ აცხადებს პრეტენზიას ნოვატორულ მიგნებებზე. აქ აზრი და სიტყვა არ შორდება ერთმანეთს, როგორც ამის შესახებ ირწმუნებოდნენ ზოგიერთები – „ცისფერყანწელებმა“ ერთმანეთისგან სიტყვა და აზრი გამიჯნესო. ზემოაღნიშნული ლექსის შინაგანი პოეტური განწყობა ადვილად აისახება მკითხველზე, იგი პირველივე სტრიქონებიდან გრძნობს სევდიანი ტონით დაწერილი ტაეპების სისადავეს და მწუხარებას. ლექსში „ძველი რითმებით“ იკვეთება ორი საინტერესო პოეტური სახე – *„ფარჩით მორთული დაისი“* და *„ჩემი სულის ლამაზი სევდა“*, რომლებიც კოლაუ ნადირაძის თქმით – *„მეგობრულად იკოცნებიან“*, თუმცა ორივე მხატვრულმა სახემ ერთ დროს ლიტერატურის კრიტიკოსთა უკმაყოფილება გამოიწვია, არადა, სწორედ ისინი ალამაზებენ მთლიან თხზულებას:

„ჩვენ მოვიგონებთ უტკივარ წარსულს,
მე კიდევ მიყვარს შენი სახელი,
ლამაზი სევდა ეწვევა ჩემს სულს
და მეგობრულად გაკოცებს ხელი“.

„ბალდახინის“ პირველი კარის კიდევ ერთ საინტერესო ლექსია „შემოდგომა სოფელში“. ავტორი თხზულებაში პოეტური შტრიხებით გვიხატავს შემოდგომის ყოფით სურათებს:

„ლელვი და ყურძენი, შემწვარი სიმინდი,
ყვითელი ბიები, ხავერდის ატმები
და მონადირესთვის კეთილი ამინდი,
მსუქანი მწყერები ჩქარი ტყის ქათმები“

კოლაუ ნადირაძე ლექსში აღწერილი ცხოვრების ეული ყოფითობიდან კარგად ხედავს ადამიანთა შეყვარებულ გულებს და ირწმუნება, რომ სწორედ ამ ყოფითობაშია ჩადებული ჩვენი არსებობის მარადიული საიდუმლო, თვით ჭეშმარიტი ღმერთის – იესო ქრისტეს მარადიულობა:

„თქვენც შეყვარებულნო, იკმარეთ დარდები!
დატოვეთ ქალაქი, ეწვიეთ ჭალებს,
მოგელით ლაჟვარდი, მინდვრები, ვარდები,
იხილავთ სიწმინდეს და უფლის თვალებს“.

კ.ნადირაძის პოეტური კრებულიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა მედიტაციურმა ლექსმა უჩვეულო სათაურით „ინტერიერი“, რომლის წაკითხვის შემდეგ, ვფიქრობთ, უცნაური განცდა დაეუფლება ადამიანს. ლექსის მოკლე შინაარსი დაახლოებით ასეთია: შუაღამისას მთვარის შუქით განათებულ სასაფლაოზე სარკოფაგებიდან გამოდიან თმაგაშლილი ქალები, დები, რომლებიც განთიადამდე ცეკვავენ საფლავების ქვებზე და შემდეგ, დაღლილნი, ლანდებივით ქრებიან, ირგვლივ კი იდუმალებით მოცული სიჩუმე დაისადგურებს. გარდაცვლილი დების მიზანი კეთილშობილურია: მიუსაფარი ადამიანების დამძიმებულ სულებს, შესაძლებელია თვით პოეტისაც, – მხსნელად და ნუგეშად მოევლინონ. აქ ავტორისეული ჩანაფიქრი გასაგებია, მაგრამ პოეტურად გამოხატვის ფორმა – შიშისმომგვრელი. თავისთავად, ლექსი „ინტერიერი“, არ გამოირჩევა მაღალმხატვრულობით, მაინც და მაინც არც რითმებითაა განწყობილი, შესაბამისად, მოკლებულია მუსიკალურ ჟღერადობას, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი პოეტური-პროზის ერთი საუკეთესო ნიმუშია „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. ლექსში ვკითხულობთ:

„როგორც შუა ღამით მთვარის სხივებზე,
მიცვალებული ქალწული დები,
იწყებენ თამაშს საფლავის ქვებზე
ტირილი სკრიპკის, მერმედ სიჩუმე,
და დაღლილობა ბინდისებური,
ვერლენის ლექსი, ლოცვის სურვილი,
გამოუცნობი და უნებური“...

კ.ნადირაძის პოეტური შთაგონება, უნებურად, ლოცვის დიდ სურვილს ემსგავსება, მკითხველისთვის ახლობელი ხდება მისი სულის ტკივილი, მაგრამ ხელოვანი არ კარგავს ზომიერების გრძნობას და ახლა უკვე გაცნობიერებულ სევდას თავს არ ახვევს მკითხველს, ამიტომ იგი ჩვენგან ღირსეულ თანადგომას მოითხოვს და არა შეწყალებას.

„ბალდახინში“ მოთავსებულ ერთ-ერთ ლექსს „ბავშვობა“ ეწოდება, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სენტიმენტალური მოგონება. ბავშვობა, ლექსის მიხედვით, ის გარდასული სამყაროა, საიდანაც მოვდივართ თითოეული ჩვენგანი, იგი ხალისიანი, ლამაზი მოგონებებით უნდა იყოს აღვსილი:

„ჩვენს ეზოს იქეთ ვცხოვრობდი მე ლურჯ ქვეყანას,
ზღაპრების შემდეგ ჩემი ბიძა მიმღერდა ნანას,
დავიძინებდი დაღალული მე მის კალთებზე,
და ძილში ვგრძნობდი მამის კოცნას ოქროსფერ თმებზე“.

პოეტი ცრემლით კი არა, ჩუმი სიმღერით იგონებს ბავშვობის წლებს, გადიის დამღერებულ ნანას, იგონებს შავებით მოსილ ქვრივად დარჩენილ დედას, რომელიც მალე გარდაიცვალა და არა იმიტომ, რომ დროს თავისი მიაქვს, არამედ *„აღარავინ ჰყავს საბრალოს მცველი“*. ლექსის ასეთი შინაარსი მისი ავტორის სულიერი ობლობის განცდაზე მიუთითებს, სამაგიეროდ, კოლაუ ნადირაძე ერთ პატარა ლექსში სათაურით – „ტრიოლეტი“ ყმაწვილკაცობის დროინდელ გატაცებაზე გვესაუბრება – ესაა სიყვარულის ლამაზი განცდა, კონკრეტულად კი ვინმე თამარი:

„წარსულ დღეების გულს ეხვევა,
კვლავ მუჯამარი,
დღეს ისევ ცოცხლობს კოლაუ
შენში თამარი“.

ზოგადად, ტრიოლეტი, როგორც სალექსო ფორმა, ლიტერატურის მცოდნეთა შეფასებით, უფრო გასართობი პოეზიისათის არის გამიზნული, იქნებ ამიტომ უწოდა პოეტმა ლექსს „ტრიოლეტი“, სადაც მისი არც თუ ისე მძაფრი, მაგრამ მოგონებების სასიამოვნო განცდაა გამოხატული.

მომდევნო ლექსია „მთვარის წყალობა“, რომელიც პაოლო იაშვილს ეძღვნება. კოლაუ ნადირაძე ხშირად შენიშნავდა ხოლმე თანამოკალმის შესახებ, რომ *„პაოლო სხვა იყოო მაინც, კაცი სიცოცხლეზე საოცრად შეყვარებული“*. როცა „ბალდახინის“ ავტორი პაოლო იაშვილს იგონებდა იმ ავად სახსენებელი 1937 წლის შემდეგ, უცნაურად გაირინდებოდა თურმე, თითქოს საკუთარ გულისცემას უსმენსო. მათი მეგობრული ურთიერთობა ხშირად აღუნიშნავთ სხვა „ცისფერყანწელებს“, უბრალო ნაცნობ-მეგობრებს:

„ისეთი ღრმაა და წმინდა ზეცა –
ალერსით სავსე,
თითქოს ღვთისმშობლის ცრემლი დამეცა
ლოცვის დროს თავზე“

ჩვენი აზრით, მოცემული ლექსი, ემოციურობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულია

ეროვნული საქმის სიყვარულით დაწერილი წიგნი – „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა“

ქართულ სინამდვილეში არიან ისეთი გამორჩეული ადამიანები, რომელთაც ერისათვის განსაკუთრებული სიყვარული გააჩნიათ, რაც გამოხატულებას ჰპოვებს მათ საქმიანობაში. ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნატო ყრუაშვილი, რომლის სამეცნიერო საქმიანობა გამორჩეულ ადგილს იკავებს განათლების სფეროში, რასაც ადასტურებს ახლახან გამოქვეყნებული მისი სამეცნიერო ნაშრომი **„იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა“**, სადაც გაშუქებულია ქართული პედაგოგიკის კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა, მისი წვლილი ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში.

ნაშრომში ვრცლად არის მოთხრობილი ქართული პედაგოგიკის ისტორიის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხი – იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება. იგი არის დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის – საბავშვო ლიტერატურის ქართველი კლასიკოსის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლის თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის და ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების კუთხით; იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საზოგადო მოღვაწე, ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი, პუბლიცისტი და კულტურის საბავშვო მწერალი იყო. მისი საქმიანობის მთავარი მიზანდასახულობა ქართველი ხალხის განათლება და აღორძინება გახლდათ. იგი ფლობდა მსოფლიო პროგრესული პედაგოგიური აზრის – კლასიკოსების მოძღვრებას. იაკობ გოგებაშვილი არის მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში.

ქართული პედაგოგიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობას, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება საქართველოში პედაგოგიური აზროვნების გამოცდილების გააზრებას და მკვიდრ მეცნიერულ საფუძველს უქმნის პედაგოგიკის თეორიის პრობლემატიკის ღრმად გაცნობიერებას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა, სტუდენტებს, ფართო საზოგადოებას ნათლად დაანახოს იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში. მისი მემკვიდრეობის გაცნობა დაეხმარებათ იმაში, თუ რა იყო მისი დროისათვის მნიშვნელოვანი და ორიგინალური და დღესაც რა ღირებულებას იძლევა მოზარდი თაობის აღზრდის, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, მათი სწავლა-განათლების კუთხით; აგრეთვე სასურველია და განსაკუთრებით აუცილებელი იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის გაცნობა უშუალოდ სპეციალისტებისათვის, რათა მათ შეივსონ და გაიღრმავონ ცოდნა.

მკვლევარ ნატო ყრუაშვილის ნაშრომი „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა“ ფასეულია იმით, რომ დაყრდნობილია ქართველი კლასიკოსის მემკვიდრეობის ამსახველ ძირითად წყაროებსა და ლიტერატურაზე, ხელნაწერთა მუზეუმში დაცულ ფასეულ მასალებზე, გამოყენებული აქვს აგრეთვე სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა და ქართული პრესის მასალები.

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგება შესავლის, 3 თავის, ბიბლიოგრაფიის (50 ერთეული), გამოყენებული ლიტერატურისაგან და, ამავე დროს, ნაშრომი ღირებულია იმითაც, რომ ახლავს ფოტოდოკუმენტური მასალა. ძირითადი სამი თავი ეხება შემდეგ პრობლემებს: 1. საქართველო XIX-XX საუკუნის მიჯნაზე; 2. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა; 3.იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა; აღსანიშნავია, რომ თითოეული მთავარი თავი ძალზე მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს: I თავში ვეცნობით შემდეგ საკითხებს: პოლიტიკურ-კულტურული ვითარება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე და სახალხო განათლება და ქართული მეცნიერული პედაგოგიური აზრის განვითარება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე; II თავში განთავსებულია იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია და მისი პრაქტიკულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა; III თავი საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მასალითაა წარმოდგენილი, მასში განხილულია ისეთი უაღრესად საჭირო საკითხები, როგორიცაა: იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკური შეხედულებები, შეხედულებანი განათლების, სკოლის, მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის, მასწავლებლის შესახებ, მშობლიური და რუსული ენის სწავლების შესახებ, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები და მათი მნიშვნელობა, მისი ნააზრევი ზნეობრივი აღზრდის, პატრიოტიზმის, მეგობრობის, რელიგიური აღზრდის შესახებ. იაკობ გოგებაშვილი წარმოჩენილია, როგორც საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსი, ქართული პედაგოგიური მეცნიერული აზრის საფუძველჩამყრელი, პუბლიცისტი, უდიდესი საზოგადო მოღვაწე.

ჩვენი მხრიდან აღვნიშნავთ, რომ იაკობ გოგებაშვილს არ დაუტოვებია არც ერთი ისტორიული მოვლენა, არც ერთი საჭირო საკითხი, რომელიც ადამიანის განვითარებას, მის სწავლა-განათლებას, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას, ენის პრობლემას, რელიგიას, მოზარდი თაობის აღზრდის ამა თუ იმ საკითხს არ შეხებოდა; აგრეთვე საჭიროდ მიიჩნევდა საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი პერიოდული გამოცემების საქმეს, ლიტერატურის, კერძოდ, საბავშვო მწერლობის განვითარებას, ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გამომზეურებისათვის პუბლიცისტიკის აუცილებლობას... იგი მთელი რიგი კულტურული საქმიანობის გამოცოცხლებისათვის იღვწოდა და მუდამ ქვეყნისა და ერის აღორძინებისათვის ზრუნავდა.

სახელმძღვანელოს ავტორის დამსახურებაა ისიც, რომ მან იაკობ გოგებაშვილი დაგვანახა, როგორც სამცხე-ჯავახეთის მხარის განათლებისთვის მზრუნველი შემოქმედი, დიდი მოამაგე, რაც კარგად ჩანს ნაშრომის ერთ-ერთ თავში „იაკობ გოგებაშვილი და მესხეთი“. აღნიშნული მიზნად ისახავს მკითხველ საზოგადოებას გააცნოს ზოგიერთი უცნობი და ნაკლებად ცნობილი მომენტები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობიდან, რომელიც სამცხე-ჯავახეთთანაა დაკავშირებული. ავტორის მიზანია წარმოაჩინოს იაკობ გოგებაშვილის წვლილი მესხი ხალხის განათლებისა და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში, ასევე სამცხე-ჯავახეთის კუთხის ისტორიის წარმოჩენაში, დამოკიდებულება და თანამშრომლობა ცნობილ მესხ განმანათლებლებთან.

ნაშრომის მთავარი ღირსებაა ისიც, რომ სტუდენტს საშუალებას მისცემს სრული წარმოდგენის შექმნაში ქართული პროგრესული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში იაკობ გოგებაშვილის წვლილსა და დამსახურებაზე, დაეხმარება მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში; აგრეთვე ავტორის მთავარ ღირსებაზე მეტყველებს ისიც, რომ ნაშრომის მიზნად დასახულია მკითხველი საზოგადოებისათვის მდიდარი და მეტად საინტერესო მასალის XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში განათლებისა და კულტურის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მთავარი გარემოება: მკვლევარ ნატო ყრუაშვილის სამეცნიერო ნაშრომში კიდევ ერთხელ გაცოცხლებულია იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „დედა ენა“ და მართებულად არის მიჩნეული ამ სახელმძღვანელოს სკოლაში კვლავ დაბრუნების მიზანშეწონილობა; ამ საკითხის ისევ დღის წესრიგში დაყენება მისი დამსახურებაა, რაც მის განსხვავებულ მსოფლმხედველობაზე მეტყველებს; აღვნიშნავთ, რომ ამ საკითხის წინ წამოწევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „დედა ენა“ ფუნდამენტია მოზარდი თაობის აღზრდის, ერის ჯანსაღ ნაწილად ჩამოყალიბების, მისი მსოფლმხედველობის, სწორი აზროვნების განვითარების საფუძველი, ეროვნული ცნობიერების საფუძველჩამყრელი.



„იაკობ გოგებაშვილი გახლდათ ისეთი მოაზროვნე კლასიკოსი, რომლის შეხედულებები არ იყო მარტო მისი დროის მოთხოვნებზე ორიენტირებული. რა თქმა უნდა, დრომ ცვლილებები მოიტანა და ახალი მოთხოვნები წამოაყენა, მაგრამ მისი ნააზრევი დღესაც მისაღებია, მეტიც, დღეს აქტიურად დგას დღის წესრიგში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სახელმძღვანელოს სკოლაში დაბრუნების საკითხი“, – წერს მკვლევარი (გვ.6).

საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები, რომლებიც ერის ეროვნულ ღირსებას, სულისკვეთებას შეეხება: ტერიტორიული მთლიანობის, ენის შენარჩუნების, მოზარდი თაობის ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის აუცილებლობა, რწმენის საკითხი, უწყვეტი განათლების პრობლემა და მრავალი სხვა. ვრცლად არის გააზრებული მის მემკვიდრეობაში. ავტორის სამართლიანი შეხედულებით, *„იაკობის პედაგოგიური მემკვიდრეობა ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილებაა, რომლის უარყოფა და დავიწყება დაუშვებელია. მისი შეხედულებები დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც თავის დროზე...“* (გვ. 6).

ნაშრომი დახმარებას გაუწევს უშუალოდ იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობით, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში პედაგოგიური აზროვნების განვითარებისა და განათლების ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ საზოგადოებას, პედაგოგებს.

მკვლევარი ნატო ყრუაშვილი წერს: *„მთავარი მისიის გარდა, მიზნად დავისახე იაკობ გოგებაშვილისადმი ჩემი პირადი დამოკიდებულების წარმოჩენაც. განათლების სფეროში მომუშავე ადამიანისთვის კიდევ უფრო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობა. მე იმ პედაგოგთა რიცხვს ვეკუთვნი, ვინც სტუდენტობის პირველსავე დღეს მასწავლებლის ფიცი დადო დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის საფლავზე. ფიცისადმი ერთგულება საკმარისად არასდროს მიმაჩნდა...“* (გვ. 7).

იქვე აღნიშნავს: *„შესაძლებლობა მომეცა 2001 წელს შემედგინა პროგრამა, სალექციო კურსი და წლების განმავლობაში სტუდენტებისათვის გამეცნო იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა, მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. მეჩვენებინა, რომ იგი არის პედაგოგიკის კლასიკოსი და სხვა კლასიკოსების მსგავსად დიდი როლი შეასრულა არა მარტო ქართველი ერის, არამედ კაცობრიობის წინაშე პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში. ერთი რიგითი ქართველის სახელით მინდა პატივი მივაგო „საქართველოს უგვირგვინო მეფედ“ სიცოცხლეშივე შერაცხულ ღირსეულ მამულიშვილს“* (გვ. 7).

მკვლევარ ნატო ყრუაშვილის ნააზრევში კარგად იკვეთება სიყვარული, შრომისმოყვარეობა საქმისადმი, პატივისცემა დიდი მოღვაწის იაკობ გოგებაშვილისადმი და პროფესიონალიზმი; ჩანს მისი მისწრაფება კიდევ მეტი ნააზრევი, საინტერესო კვლევა მიაწოდოს თავის სტუდენტებს, მასწავლებლებს, მოზარდ თაობას... ისინი, მართლაც ბევრ საინტერესოს ამოიკითხავენ წინამდებარე ნაშრომში და უთუოდ ხელი შეეწყობათ ცოდნის ამაღლებაში, მოზარდი თაობისათვის კი ერთგვარი სამაგიდო წიგნი იქნება, სულის საზრდო, რითაც ისინი შეძლებენ ეროვნული ღირებულებების შეფასებასა და დაფასებას.

ამდენად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნატო ყრუაშვილის ნაშრომი: „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა“ ღირსეულ შენაძენს წარმოადგენს არა მარტო პედაგოგიკის მეცნიერებისა და საბავშვო მწერლობის, არამედ მთლიანად ქართული კულტურის სივრცეში განსხვავებული სამეცნიერო აზრის ჩამოყალიბების პროცესში; მასში ნაჩვენები პრობლემები უთუოდ ასახავს ქართული მწერლობის, პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების ერთიან, მთლიან და განუკვეთელ განვითარებას, წარმოაჩენს იმ უდიდეს წვლილს, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა ერის განათლების საქმეში; ნაშრომი ღირებულია აგრეთვე იმითაც, რომ, გარდა ზემოაღნიშნულისა, იაკობ გოგებაშვილი წარმოდგენილია, როგორც მრავალმხრივი მოღვაწე და აცნობს მის დამსახურებას ქართველი ერის განვითარების სხვადასხვა სფეროში: განათლების საკითხი, მშობლიური ენის, სარწმუნოების პრობლემა, ეროვნული ცნობიერების განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ზრუნვა, სკოლების დაარსება, ჟურნალ-გაზეთების გამოცემისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა, რადგან პრესა ერის გაჯანსაღების, განსხვავებული აზრის ჩამოყალიბების და მათი გამოცოცხლების საფუძველია, საბავშვო მწერლობის გამდიდრება და მრავალი სხვა, რომლებზეც მსჯელობა უხვადაა დასახელებულ ნაშრომში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნატო ყრუაშვილის სახელმძღვანელო – „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა“ – ღირებულ შენაძენს წარმოადგენს ქართული საბავშვო მწერლობის და პედაგოგიკის კვლევის საქმეში, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში და მკვლევარს ვუსურვებთ სახვალიოდ კიდევ ბევრი ნაშრომის შექმნას მომავალი თაობებისათვის.

დალი გეთხოშვილი,
პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ოთარაანი ქვრივი ეძვნა ჩემს სულს“...

და, ალბათ, გამორჩეულიც თავისი პოეტურობით სხვა ლექსებისაგან. ვის უნდა ავედრებდეს პოეტი ღვთისმშობელს თუ არა პაოლოს და მასთან ერთად სანუკვარ საქართველოს, ვინაიდან სამშობლო იყო ორივესთვის მუდმივი ფიქრისა და ზრუნვის საგანი.

ტრიოლეტის ფორმითაა დაწერილი ასევე ლექსი „ვერსალი წვიმაში“. პოეტი ცდილობს მკითხველს შეუქმნას წვიმის ასოციაცია. თითოეული ტაეპი, გარდა პირველისა, რომელიც წესისამებრ ლექსში სამჯერ მეორდება, მარცვალთა რაოდენობის მიხედვით ისეა დალაგებული, რომ პოეტი მიზანს აღწევს:

„მძიმეა სიჩუმე სასახლის ბაღებში,
ვინ იცის, დედოფალს რად გაეღიმა?!
დაცვივდნენ ფოთლები ვერსალის ბაღებში,
მოწყენილ დედოფალს აშინებს წვიმა.“

„ქარვისფერი ფაკირი“, ასე ეწოდება ერთ-ერთ ლექსს, რომელიც „ბალდახინის“ პირველი კარის „მთვარის ქურდების“ ციკლშია გაერთიანებული. ლექსს იდუმალება აჩრდილივით აწევს, ამიტომაა, რომ ქარვისფერი ფაკირი ირეალურ სამყაროდან მოსულ, ბედთან მოთამაშე კაცად მოეჩვენება მკითხველს. და, მაინც, პოეტი გაოცებული კითხულობს, თუ სინამდვილეში ვინაა იგი, ჩვეულებრივი ადამიანი თუ შეშლილი ვინმე, მწირი და მიუსაფარი. ლექსში, რომელიც 1916 წელსაა დაწერილი, ვკითხულობთ:

„შეშლილ ფაკირმა აქ მთვარისთვის
ააწყო ჰანგი,
სურს დაატყვევოს და ცბიერად მიესალმება
და თუ აჩქარდა შორს უდაბნო ბედუინებით, –
ქრება ფაკირი, რადგან არვის არ ელოდება.“.

„ქარვისფერ ფაკირს“ მოსდევს ლექსი „მთვარის ქურდები“, რომლის სახელწოდებასაც ატარებს კრებულის პირველი კარი. ლექსში, რომელიც საკმაოდ ვრცელია, დომინირებს თეთრი ფერი, თეთრი ფერი და მთვარე, როგორც ღამის დედოფალი. ლექსის მიხედვით კოლაუ ნადირაძე იმ მთვარეულს გვაგონებს, თავის ოცნებებს რეალურივით რომ ხედავს. პოეტი ცდილობს ოცნებათა ძვირფასი წუთები რაც შეიძლება გაიხანგრძლივოს, რათა შემდეგ, ნაოცნებარ მკითხველამდე, პირველყოფილი განცდით მიიტანოს. ძველი ზღაპრები, თეთრისა და შავის, ბოროტისა და სიკეთის, სიწმინდისა თუ ბინიერების მარადიული ბრძოლა, მწვავედ თრგუნავს კოლაუ ნადირაძის სულს. თეთრ სამოსელში მორ-

გაგრძელება გვ.7 ▶

ეპიდემიები და პანდემიები მსოფლიოში

ინფექციური დაავადებები უდიდეს ზიანს აყენებდა კაცობრიობას. ადრეულ საუკუნეებში ამ დაავადებებით უფრო მეტი ადამიანი კვდებოდა, ვიდრე ომებით, გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებებით. განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი იყო პანდემიების დროს, როდესაც ინფექციური დაავადება ფართოდ ვრცელდებოდა ან მთელ მსოფლიოში, ან მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში. მაგალითად, 541 წელს მსოფლიოში პანდემიური გავრცელება მიიღო შავმა ჭირმა, რომელიც რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა და, რომელმაც დაახლოებით 100-150 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. ეს მაშინ, როდესაც, როგორც ფიქრობენ, იმდროინდელი მსოფლიოს მოსახლეობა 400-450 მილიონ ადამიანს არ აღემატებოდა. ეს პანდემია ისტორიაში „იუსტინიანეს ჭირის“ სახელით შევიდა. იუსტინიანე I ბიზანტიის იმპერატორი იყო იმ პერიოდში და სწორედ ბიზანტიაში გავრცელდა დაავადება ყველაზე ინტენსიურად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პანდემია საქართველოსაც შეეხო, რადგან საქართველო და ბიზანტიის იმპერია ხომ მეზობელი ქვეყნები იყო. ჩვენი წინაპრები ამ დაავადებას „ჟამს“ უწოდებდნენ, ხოლო მის გავრცელებას – „ჟამიანობას“.

კატასტროფული შედეგები მოიტანა შავი ჭირის მეორე პანდემიამაც, რომელიც მსოფლიოში XIV საუკუნეში მძვინვარებდა. უმრავლესი მეცნიერის აზრით, იგი დაიწყო გობის უდაბნოში (მონღოლეთი) და შემდგომ, ოქროს ურდოს მეომრების და ვაჭრების მეოხებით, 10 წლის მანძილზე მთელს მაშინდელ მსოფლიოში გავრცელდა. ევროპაში პანდემიის პიკი 1347-1351 წლებში აღინიშნა. თანამედროვე მკურნალობის გარეშე შავი ჭირი, როგორც წესი, სიკვდილით მთავრდება. ამ დაავადების 2 კლინიკური ფორმა არსებობს: ბუბონური და ფილტვების ფორმა. ლეტალობის მაჩვენებელი (გარდაცვლილ ადამიანთა ხვედრითი წილი დაავადებულ ადამიანებში გამოხატული პროცენტებში) ბუბონური ფორმის დროს 95%-ს აღწევდა. ფილტვების ფორმის დროს კი – 95-98%-ს. ბუნებრივია, რომ XIV საუკუნეში არ იცოდნენ არც შავი ჭირის მკურნალობა, მისი აღმოცენების და გავრცელების მიზეზები და არც პროფილაქტიკური ღონისძიებები. ბევრი ადამიანი თვლიდა, რომ შავი ჭირი იყო სასჯელი ადამიანთა ცოდვებზე. ამავე დროს, ზოგიერთ ქვეყანაში, გავრცელდა არასწორი მოსაზრება, რომ დაავადების გავრცელება გამოწვეული იყო ებრაელების მიერ ჭის წყლების მოწამვლით. ამას შედეგად მოჰყვა ებრაელთა დარბევები. მაგალითად, 1348 წელს საფრანგეთში ებრაელების მთელი რიგი დასახლებები აღიგავა პირისაგან მიწისა.

შავი ჭირი მოსახლეობის არც ერთ ფენას არ ინდობდა, – არც მდიდრებს, არც ღარიბებს, არც ჯარისკაცებს და არც ვაჭრებს. თუ რა მასშტაბის უბედურება ტრიალებდა იმ დროს მსოფლიოში და, განსაკუთრებით ევროპაში, წარმოდგენას გვაძლევს ერთი მღვდლის მიერ სიტუაციის აღწერა საფრანგეთის ერთ-ერთ რიგით ქალაქში: „შვიდი ათასზე მეტი სახლია ქალაქში დაკეტილი, რადგან ვინც იქ ცხოვრობდა, ყველა გარდაიცვალა შავი ჭირით. ქალაქების ქუჩებში იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანს. ქალაქის სპეციალურად მოწყობილ სასაფლაოზე ერთ დღეს, 13 ათასი ადამიანი დაკრძალეს“.

ტყუილად კი არ უწოდებდნენ ამ პანდემიას „შავი სიკვდილის“ პანდემიას. მარტო ევროპაში მთელი მოსახლეობის დაახლოებით მესამედი გარდაიცვალა. რიგ ქვეყნებში მსხვერპლი კიდევ უფრო დიდი იყო. მაგალითად, ინგლისში მოსახლეობის ნახევარი შეინირა დაავადებამ, ნორვეგიასა და ისლანდიაში – ორი მესამედი, ამასთან, სწორედ XIV საუკუნეში, ევროპაში, შავი ჭირის გავრცელებისაგან რომ თავი დაეცვათ, დაიწყეს საკარანტინო ღონისძიებების გატარება. თუ ადამიანები მოდიოდნენ იმ ადგილებიდან, სადაც შავი ჭირი იყო გავრცელებული, მათ დასახლებულ პუნქტში (სოფელში თუ ქალაქში) არ უშვებდნენ მანამ, სანამ 40 დღე არ იქნებოდნენ კარანტინში. უნდა აღინიშნოს, რომ კარანტინის ხანგრძლივობა 40 დღის მანძილზე არასწორად იქნა აღებული. შავი ჭირის შემთხვევაში 6 დღეც სრულიად საკმარისია, რადგან ამ დაავადების მაქსიმალური პერიოდი 6 დღეს არ აღემატება (ინკუბაციური პერიოდი არის დრო, რომელიც გაივლის ადამიანის დაინფიცირებიდან დაავადების დაწყებამდე). სხვათაშორის, შავი ჭირისაგან თავის დასაცავად XVII საუკუნეში, კერძოდ, 1665 წელს, ინგლისში, სადაც იმ პერიოდში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა, დაიწყეს სურსათის უკონტაქტო მიწოდება. პატარა დასახლებულ პუნქტში – იენში მოსახლეობა საკვების თუ სხვადასხვა დანიშნულების საგნების მისაღებად ვაჭრებს სთხოვდნენ, რომ მოტანილი პროდუქცია დაეწყოთ სოფლის ფარგლებს გარეთ, სპეციალურად მოწყობილ ადგილას, სადაც ისინი წინასწარ ტოვებდნენ ძმრით დამუშავებულ ფულს.

1855 წელს, ჩინეთის პროვინცია იუნანში, დაიწყო შავი ჭირის მესამე პანდემია, რომელიც შემდგომ ყველა კონტინენტზე გავრცელდა. მარტო ჩინეთში და ინდოეთში პანდემიამ 12 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

უდიდესი ზიანი მიაყენა კაცობრიობას ნატურალურმა ყვავილმაც. ვარაუდობენ, რომ ადამიანებში იგი აქლემიდან გავრცელდა დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. ყვავილის პირველი ძლიერი ეპიდემია ჩინეთში განვითარდა IV საუკუნეში, კორეაში – VI საუკუნეში, ხოლო VIII საუკუნეში იაპონიაში დაავადებამ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 30% შეინირა, ხოლო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში – თითქმის 70%. VII-VIII საუკუნეებში ინფექცია ფართოდ გავრცელდა ევროპაში. იგი უდიდეს პანიკას იწვევდა არა მარტო უბრალო მოსახლეობაში, არამედ მეფეებშიც. მაგალითად, 845 წელს საფრანგეთის მეფემ, იმისთვის რომ სამეფო კარი და თავი დაეცვა ამ დაავადებისაგან, ბრძანება გასცა, რომ მოეკლათ ყველა დაავადებული და, ასევე, მათთან კონტაქტში მყოფნიც. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა დაავადება ევროპაში XV საუკუნეში, საიდანაც XVI საუკუნეში ინფექცია ამერიკის კონტინენტზე იქნა შეტანილი, სადაც მილიონობით მკვიდრი მოსახლეობა შეეწირა მას. ფართოდ იყო დაავადება გავრცელებული ევროპაში ასევე XVII-XVIII საუკუნეებშიც. მოსახლეობაში ლეტალობა ზოგჯერ 15-20%-ს აღწევდა, ბავშვებში კი 25-30%-საც კი. ფიქრობენ, რომ ევროპაში ყოველწლიურად ყვავილით დაახლოებით 1.5 მილიონი ადამიანი კვდებოდა.

შავი ჭირის შემდეგ ეს ყველაზე მძიმე დაავადება დამარცხებულ იქნა ვაქცინაციის წყალობით. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ყვავილით ავადდებოდა ზოგიერთი შინაური ცხოველი, მათ შორის ძროხები. თუმცა მათში დაავადება მსუბუქად მიმდინარეობდა. ასევე აღმოჩნდა, რომ ძროხის ყვავილით ავად ხდებოდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მათ მოვლაში, განსაკუთრებით კი მწველავი ქალები, რომლებიც შემდგომ ნატურალური ყვავილით აღარ ავადდებოდნენ. ასეთი დაკვირვების წყალობით, 1796 წლის მაისში ინგლისელმა ექიმმა ჯენერმა გადაწყვიტა, რომ კოლეგების თანდასწრებით ადამიანი აეცრა ძროხის ყვავილით. ამისთვის ძროხის ყვავილით დაავადებული ქალის, მწველავი სარა ნელმსის პუსტულების შიგთავსი შეუყვანა და დაინფიცირა 8 წლის ბიჭი ჯეიმს ფიპპსი. ბავშვს განუვითარდა ძროხის ყვავილისათვის დამახასიათებელი გამონაყარი. დაავადება მსუბუქი ფორმით მიმდინარეობდა. ამ ამბიდან დაახლოებით 1.5 თვის შემდეგ ჯენერმა ბავშვი დააინფიცირა უკვე ნატურალური ყვავილით. ბავშვი არ დაავადდა. ამ ექსპერიმენტმა ცალსახად დაადასტურა, რომ ძროხის ყვავილის გადატანის შემდეგ, ადამიანი ნატურალური ყვავილით აღარ ავადდებოდა. 2 წლის შემდეგ მან გამოაქვეყნა სტატია, სადაც იგი ამის თაობაზე წერდა. ძალიან სწრაფად, უკვე 1807 წელს კი, აცრა სავალდებული გახდა ბავარიაში მთელი მოსახლეობისათვის, ვისაც ნატურალური ყვავილი არ ჰქონდა გადატანილი. ჯენერის აღნიშნულმა აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ საშუალებას – ვაქცინაციას.

XX საუკუნეში ნატურალური ყვავილით 300-დან 500 მილიონამდე ადამიანი გარდაიცვალა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ჯანმო), 1958 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ საყოველთაო აცრების წყალობით მიეღწია ამ დაავადების გლობალური ლიკვიდაციისათვის. გადაწყვეტილება წარმატებით განხორციელდა. დაავადების ბოლო ბუნებრივი შემთხვევა 1977 წელს სომალიში გამოვლინდა, ხოლო 1978 წელს ინგლისში შიდა ლაბორატორიული შემთხვევა განვითარდა. 1980 წელს ჯანმო-მ საზეიმოდ გამოაცხადა ნატურალური ყვავილის მსოფლიოს მასშტაბით ლიკვიდაციის შესახებ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე ინფექციური დაავადება, რომელმაც ასეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინირა, მოსპობილ იქნა მთლიანად აცრების წყალობით, რომელსაც საფუძველი ჯენერმა ჩაუყარა.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აცრებამდე, აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, ნატურალური ყვავილისაგან თავის დასაცავად იყენებდნენ ხელოვნურ ვარიოლაციას. მისი არსი მდგომარეობდა შემდეგში: ყვავილის მსუბუქი ფორმით დაავადებულ ადამიანს უღებდნენ გამონაყრის (პუსტულების) შიგთავსს, რომელსაც კანზე განაკაწრის საშუალებით შეუზელდნენ ჯანმრთელ ადამიანს, რომელსაც ეს დაავადება არ ჰქონდა გადატანილი. ინკუბაციური პერიოდის გავლის შემდეგ ადამიანი ავად ხდებოდა ნატურალური ყვავილით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში დაავადება მსუბუქად მიმდინარეობდა, თუმცა, იშვიათად მაინც, მაგრამ არ იყო გამორიცხული მძიმე ფორმების განვითარება და ადამიანის სიკვდილი, მაგრამ, რადგან ყვავილით თითქმის ყველა ხდებოდა ავად, ბევრი ადამიანი მაინც მიმართავდა ხელოვნურ ვარიოლაციას. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენებოდა XVIII საუკუნეში. უფრო მეტიც, არის მონაცემები, რომ ამ მეთოდის არსებობა ევროპამ საქართველოსგან შეიტყო.

კიდევ ერთი მძიმე ინფექციური დაავადება, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა მოსახლეობას, არის ქოლერა, რომლის შესახებაც ცნობები ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს ჰქონდა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში მოღვაწეობდა. დაავადება ადრეულ საუკუნეებში ძირითადად აზიაში, კერძოდ, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე იყო გავრცელებული. 1817 წლიდან კი ინფექცია ფართოდ გავრცელდა სხვა კონტიტენტებზეც. ამ პერიოდიდან მოყოლებული მსოფლიოში ქოლერის შვიდი პანდემია განვითარდა:

პირველი პანდემია – 1817-1824 წ.წ.
მეორე პანდემია – 1829-1851 წ.წ.
მესამე პანდემია – 1852-1860 წ.წ.
მეოთხე პანდემია – 1863-1875 წ.წ.
მეხუთე პანდემია – 1881-1896 წ.წ.
მეექვსე პანდემია – 1899-1923 წ.წ.
მეშვიდე პანდემია – 1961-1975 წ.წ.

პირველი ექვსი პანდემია გამოწვეული იყო კლასიკური ქოლერის ვიბრიონით, ანუ კოხის ვიბრიონით, ხოლო მეშვიდე პანდემია – ელ-ტორის ვიბრიონით. პირველი პანდემიის გარდა, ყველა პანდემია საქართველოსაც შეეხო და სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყანას. მესამე პანდემიის დროს თბილისში ქოლერით გარდაიცვალა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი, ერთ-ერთი ულამაზესი ქართველი ქალბატონი, ნინო ჭავჭავაძე, ხოლო მეხუთე პანდემიის დროს, 1921 წლის 11 ივნისს – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე. მეხუთე პანდემიის დროს, რომელიც განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში – დუშეთის მაზრაში გავრცელდა, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში, ამ მაზრაში, კერძოდ კი სოფელ ჯიღაურაში, რომელიც საგურამოს მახლობლად მდებარეობს, ჩაერთო ილია ჭავჭავაძე. ის სოფლის მოსახლეობას მოუწოდებდა, რომ მაქსიმალურად დაეცვათ სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებები და განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექციათ დაბინძურებისაგან

სასმელი წყლის დაცვაზე. საინტერესოა, რომ ქოლერის შესახებ წერდა გენიალური პოეტი ვაჟა-ფშაველა.

საქართველოს შეეხო ქოლერის მე-7 პანდემიაც, რომელიც განსაკუთრებით ბათუმსა და თბილისში გავრცელდა, თუმცა ქართველი ექიმების (ლ. საყვარელიძე, ვ. ბოჭორიშვილი) წყალობით, ის სწრაფად იქნა ლიკვიდირებული ისე, რომ სერიოზული ზიანი მას ქვეყნისთვის არ მიუყენებია. უნდა აღინიშნოს, რომ ქოლერა დღესაც გავრცელებულია მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში და ჯანმო-ს ინფორმაციით, ყოველწლიურად ქოლერით დაახლოებით 100 000 ადამიანი კვდება.

შავი ჭირის პანდემიების შემდეგ, ყველაზე მეტი ადამიანის სიცოცხლე გრიპის პანდემიებმა შეიწირა. მათგან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს პანდემია, რომელიც 1918 -1920 წლებში მიმდინარეობდა და რომელიც ცნობილია ესპანური გრიპის, ანუ „ისპანკის“ სახელით. ფიქრობენ, რომ პანდემია დაიწყო 1918 წლის იანვარში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ფართოდ გავრცელდა ევროპაშიც, იმავე წლის გაზაფხულზე. ამ პერიოდში პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, რომელშიც ევროპის უმრავლესი ქვეყანა მონაწილეობდა. სამხედრო ცენზურის გამო ეს ქვეყნები არ აცხადებდნენ, რომ ჰქონდათ გრიპის ეპიდემია. ესპანეთი ამ ომში არ მონაწილეობდა და იგი ნეიტრალიტეტს იცავდა. ესპანეთისთვის არ ჰქონდა აზრი ინფორმაციის დამალვას. ამდენად, პირველი შეტყობინებები სწორედ ესპანეთიდან გავრცელდა. პანდემია სამ ტალღად წარიმართა. პირველი ტალღა გაზაფხულ-ზაფხულში მიმდინარეობდა. ამ დროს ლეტალობა არ იყო ძალიან მაღალი. სექტემბერში დაიწყო მეორე ტალღა და იგი დაახლოებით დეკემბრამდე გაგრძელდა. დაავადებამ ყველაზე დიდი მსხვერპლი სწორედ ამ პერიოდში მოგვცა. 1919 წლიდან კი დაიწყო მესამე ტალღა.

ფიქრობენ, რომ ესპანური გრიპის პანდემიის დროს დაავადდა დაახლოებით 550 მილიონი ადამიანი. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ პერიოდში მსოფლიოში ცხოვრობდა დაახლოებით 1.5 მილიარდი ადამიანი, გამოდის, რომ დაავადდა მსოფლიო მოსახლეობის 30%-ზე მეტი. 3 წლის მანძილზე გრიპით გარდაიცვალა დაახლოებით 50 მილიონი ადამიანი. ზოგიერთი მკვლევარი კი მიიჩნევს, რომ უფრო მეტი – 100 მილიონამდე. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ პირველი მსოფლიო ომის შედეგად, რომელიც 1914 წლის სექტემბერში დაიწყო და 1918 წლის ნოემბერში დამთავრდა, გარდაიცვალა დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი, ანუ 5-ჯერ ნაკლები, ვიდრე პანდემიის შედეგად. დაავადება მძიმედ მიმდინარეობდა არა მარტო ხანშიშესული ასაკის პირებში და ბავშვებში, არამედ 20-40 წლის ადამიანებშიც.

საინტერესოა, რომ ერთი საუკუნის წინაც გრიპს ისეთივე ღონისძიებებით ებრძოდნენ, რომლებიც დღეს გამოიყენება კორონავირუსული ინფექციის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, სოციალური დისტანცირებით, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვით და ხელების ჰიგიენით და ასევე ნიღბების გამოყენებით. ასევე მოსახლეობას მოუწოდებდნენ – თავი აერიდებინა მასობრივი თავშეყრის ადგილებისთვის. მიმართავდნენ ასევე საკარანტინო ღონისძიებებს. ამერიკის იმ შტატებში, სადაც ფართოდ იყენებდნენ საკარანტინო ღონისძიებებს, დაავადება უფრო ნაკლებად გავრცელდა იმ შტატებთან შედარებით, სადაც ამ ღონისძიებებს, ან, საერთოდ, არ იყენებდნენ, ან ნაკლებად გამოიყენებდნენ.

XX საუკუნეში გრიპის მეორე პანდემია 1957-1958 წლებში მიმდინარეობდა და მას დაახლოებით 1.5-2.0 მილიონი ადამიანი შეეწირა. 1968 წელს კი განვითარდა მესამე პანდემია, რომლის შედეგადაც 1 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა. გრიპის პანდემია ჩვენს საუკუნეშიც განვითარდა. 2009-2010 წლებში მსოფლიოში მძვინვარებდა პანდემიური გრიპის პანდემია, რომელიც მოსახლეობაში უფრო „ღორის გრიპის“ სახელით არის ცნობილი.

1981 წელს ამერიკაში ახალი ინფექციური დაავადება იქნა აღწერილი – „აივ ინფექცია“, რომელიც მოსახლეობაში უფრო შიდსის სახელითაა ცნობილი. 1988 წელს ჯანმო-მ ამ დაავადების პანდემია გამოაცხადა და იგი დღესაც გრძელდება. ჯანმოს ექსპერტების მოსაზრებით აივ-ინფექციის პანდემია, სავარაუდოდ, 2030 წელს დამთავრდება. დღეისთვის ამ დაავადებით მსოფლიოში უკვე დაახლოებით 33 მილიონი ადამიანია გარდაცვლილი.

გრიპის და აივ-ინფექციის გარდა, XXI საუკუნეში კაცობრიობას კიდევ რამდენიმე ინფექციურმა დაავადებამ შეუტია. 2014-2015 წელს მსოფლიო შეაზანზარა „ებოლას“ ცხელებამ, რომელიც, ძირითადად, დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში მძვინვარებდა, თუმცა შემთხვევები აღირიცხა ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, იტალიაში. სულ დაავადების 30 ათასამდე შემთხვევა განვითარდა და ლეტალობამ 41% შეადგინა.

როდესაც ლაპარაკია მსოფლიოში ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიებზე და პანდემიებზე, არ შეიძლება არ შევეხოთ კორონავირუსულ ინფექციებს. მათი გამომწვევია კორონავირუსები, რომლებიც შედიან ამავე სახელწოდების ვირუსთა ოჯახში. მათგან 7 ვირუსი ადამიანთა დაავადებას იწვევს. 1967 წელს გამოყოფილი იქნა ორი ვირუსი, ხოლო 2004 და 2005 წლებში კიდევ – 2. ოთხივე ეს ვირუსი იწვევს ჩვეულებრივ კორონავირუსულ ინფექციას, რომელიც შედის მწვავე რესპირატორული დაავადებების ჯგუფში და, როგორც წესი, მათ მიერ გამოწვეული დაავადება ძირითადად მიმდინარეობს მსუბუქი ფორმით და იშვიათია საშუალო სიმძიმის და მძიმე ფორმების განვითარება. როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, ბევრ ადამიანს აქვს გადატანილი ეს დაავადება.

2002 წლის ნოემბერში ჩინეთში განვითარდა ახალი ინფექციური დაავადება, რომელსაც მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი (SARS) ეწოდა და რომელსაც იწვევს SARS-CoV ვირუსი. ჩინეთის ხელისუფლება ინფორმაციას საგულდაგულოდ მალავდა. მას შემდეგ, რაც დაავადების პირველი შემთხვევა ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში იქნა გამოვლენილი, ჩინეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ დაავადება უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში რეგისტრირდებოდა ქვეყანაში და ინფორმაციის დამალვისთვის ჩინეთის მთავრობამ ოფიციალურად ბოდიში მოიხადა. დაავადების ბოლო შემთხვევა 2003 წლის ივლისში გამოვლინდა და როგორც მოულოდნელად გამოჩნდა, ასევე მოულოდნელად გაქრა. სულ SARS 29 ქვეყანაში გამოვლინდა, მათ შორის ევროპის ქვეყნებში. დაავადდა 8298 ადამიანი, რომელთაგან გარდაიცვალა 775 და ლეტალობის მაჩვენებელმა 9.6% შეადგინა. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების ლეტალობის მაჩვენებელი მხოლოდ 2.2%-ია.

კიდევ უფრო მძიმედ მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთის რესპირაციული დაავადება (MERS), რომლის გამომწვევია MERS-CoV ვირუსი. იგი ადამიანებში ერთკუზიანი აქლემიდან გავრცელდა. დაავადების პირველი შემთხვევა გამოვლინდა 2012 წელს საუდის არაბეთში. SARS-ისგან განსხვავებით MERS არსად არ წასულა და შემთხვევები დღესაც ვლინდება, თუმცა არც ისე ხშირად. 2012 წლიდან 2020 წლის 1 იანვრამდე ამ დაავადების 2494 შემთხვევა გამოვლინდა მსოფლიოს 27 ქვეყანაში. მათ შორის გერმანიაში, ავსტრიაში, საბერძნეთში, ინგლისში, საფრანგეთში, ეგვიპტეში და სხვაგან. დაავადებულთაგან გარდაიცვალა 912 ადამიანი და ლეტალობის მაჩვენებელმა 36.6% შეადგინა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს უმძიმესი დაავადება, საბედნიეროდ, ადამიანებში ნაკლებადაა გავრცელებული, განსხვავებით ახალი კორონავირუსული ინფექციისგან, რომლის გამომწვევია COVID-19 და რომელიც ადამიანებში, ისევე როგორც SARS - ის ვირუსი ღამურებიდან გავრცელდა.

დღეისათვის ახალი კორონავირუსული ინფექციის შემთხვევათა რაოდენობამ 72 მილიონს გადააჭარბა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მსოფლიოს პრაქტიკულად ხელთ აქვს ამ ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგი საშუალება – რამდენიმე ფირმის მიერ დამზადებული ვაქცინა. წერილი გვინდა დავასრულოთ Pfizer-ის ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სიტყვებით, რომელმაც განაცხადა, რომ მომავალ ზამთარს COVID-19-ის პანდემია დამთავრდება და პლანეტა ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნდება.

ირაკლი მჭედლიშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის
ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

„ოცამეხი ქვეყა ეწვევა ჩემს სოფოს...“

დასაწყისი გვ.4 ▶

თული ლექსის ლირიკული გმირი თითქოს ლოცვად დამდგარა და ღვთაებასავით შესცქერის მთვარეს, ვინაიდან ახლა მთვარეა მისი მხსნელიც და სატრფოც; ხოლო როცა განთიადი მოიტანს, დაიწყება ყოველდღიური ყოფითი საზრუნავი, ჯიუტად წაშლის იგი ღამეულ მოჩვენებასა და ოცნებებს. პოეტი წერს, რომ:

„გაიარს დილა, სასახლეში კვლავ დავბრუნდები,
ჩემს მეფურ სევდას დავასვენებ ცივ სარკეებში,
და როცა მოვლენ თეთრ სიმდიდრით მთვარის ქურდები,
მეც მათთან ერთად ავტირდები ბნელ ღამეებში“.

როგორც ვხედავთ, ლირიკულ გმირს ტირილის განცდა ეუფლება, ეს განცდა კი მისთვის ყველაზე ძვირფასი საიდუმლოა. პირველ კარში, სხვებთან ერთად, საყურადღებოა ლექსი ლამაზი სახელწოდებით „ოცნება საქართველოზე“, რომელიც სანდრო ცირეკიძეს ეძღვნება და დაწერილია 1918 წელს. სანდრო ცირეკიძე- „ქართული მინიატურის უზენაესი მოცარტი“ – როგორც იტყოდნენ მასზე თავად „ცისფერყანწელები“, მათი ძმობის ერთ-ერთი უსაყვარლესი წევრი იყო, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. საინტერესოა, რატომ უნდა მიეძღვნა მაინც და მაინც სანდრო ცირეკიძისთვის აღნიშნული ლექსი კოლაუ ნადირაძეს? იქნებ იმიტომ, რომ მეგობრის სულში ხედავდა ისეთს, რომელიც გარდასულ საქართველოს მოაგონებდა. ამ ლექსთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო, კერძოდ, „ოცნება საქართველოზე“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწერილია 1918 წელს, ანუ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში, მაგრამ პოეტის მხრიდან, რატომღაც, არ იგრძნობა ის აღტაცება და სიხარული, რომელიც უნდა გამოეწვია ჩვენი ქვეყნის დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას. პირიქით, პოეტი თითქოს გრძნობდა კიდეც მოახლოებულ 1921 წლის თებერვალს. ლექსის მიხედვით დახავსებული სახურავები, დიდი ციხეების შავი კედლები, ჭირისუფლად გადააქცევენ საქართველოს, სევდა ჩასდგომია თვალებში, ტაძრის კედელზე ლამაზ ფრესკად რომ გამოსახულა, იქნებ ეს სევდა მოგონებაა საკუთარი ჯვარცმული პირმშოსი თავისივე წილხვდომილი ქვეყნის ხსნას რომ ევედრებოდა ხოლმე:

„შედიხარ ჩუმად, ბრილი ტაძარი...
მოთაფლისფერო სახე მამების,
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი
ნათელი ხატი წმინდა სამების.
ნიშანი ბედის – კარზე ნალები,
სახურავები დახავსებული
და ღვთისმშობელის ლურჯი თვალები
უმანკო სევდით ამოვსებული“.

აქ მთავრდება „ბალდახინის“ პირველი კარი და ლექსით – „ყვითელი ტრფობა, იწყება მეორე ნაწილი, რომელსაც „კეთროვანება“ ეწოდება. საფიქრებელია, რატომ უნდა ეწოდებინა ასეთი სათაური კ.ნადირაძეს წიგნის მეორე კარისთვის, ხომ არ ჰგავს პოეზიის სიყვარული კეთროვანებას იმით, რომ ძნელად იკურნება მძიმე სენივით? იქნებ კეთროვანივით იტანჯება შემოქმედი, როცა პოეტური შთაგონება ეწევა ხოლმე, ან, იქნებ, ერთგვარი ხარკი გადაუხადა სიმბოლიზმის პრინციპებს, ვინაიდან „ცისფერყანწელები“ მარტო მანიფესტებსა და დეკლარაციებში კი არა, კრიტიკულ წერილებშიც კი თანმიმდევრულად იცავდნენ სიმბოლიზმის ძირითად მოტივებს. დავუბრუნდეთ კვლავ ლექსს „ყვითელი ტრფობა“. ცნობილია, რომ, როგორც ევროპელი, ისე ქართველი სიმბოლისტები, ფერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მაგალითად, არტურ რემბო ასო-ბგერებს გარკვეულ ფერებად აღიქვამდა, მისთვის ა – შავი ფერი იყო; ე – თეთრი; ი – წითელი; ო – ლურჯი; უ – მწვანე და ა.შ. თავად კოლაუ ნადირაძე ერთგან შენიშნავდა, რომ მისთვის მისაღები იყო ყოველი ფერი, ოღონდ მათში რაღაც ფარული აღმოეჩინა. კ.ნადირაძის პოეზიაში ყვითელი ფერი განსაკუთრებით გამორჩეულია, შეიძლება მასში იყოს ჩადებული ის დაფარული საიდუმლო, პოეტი აღმოჩენას რომ ესწრაფვოდა. ლექსი „ყვითელი ტრფობა“ სონეტია, ხოლო სონეტს „ცისფერყანწელები“ აღმერთებდნენ. ვალერიან გაფრინდაშვილი წერილში „სონეტების შესახებ“ წერდა: *„სონეტი ფენომენია... უნაკლო სონეტი სასწაულ შთაბეჭდილებას ახდენს, მისი ფორმა ისეთივე მარადიულია, როგორც თვით ლიტერატურა“*. მართლაც და უნაკლო სონეტი მკითხველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს – სონეტის ფორმა საოცრად ესადაგება „ყვითელი ტრფობის“ შინაარსს; პოეტს მკითხველამდე ზუსტად მიაქვს თავისი სათქმელი. ლექსის შინაარსი დაახლოებით ასეთია: ავტორს გონების თვალით შეუქმნია საოცნებო ქალი, რომელიც ლირიკულ გმირს არწმუნებს – შენოდენა სიყვარულის ნიჭი არავისთვის დაუნათლებია უფალს, ამიტომ არ გაქვს უფლება მარტოოდენ საკუთარი თავისთვის იარსებო და არც მხოლოდ ვარდ-ყვავიალების მიძღვნაა სიყვარული, რომ:

„დაბურულ გზებით მე დავყავარ
იდუმალ ვნებას,
ბევრი ვარდები დამეკარგა
სიცოცხლის გზაზე“

მეორე კარის მომდევნო საინტერესო ლექსია 1918 წელს დაწერილი „ჩემს ლანდს“, რომელიც თოთხმეტმარცვლიანი ტაეპებითაა გაწყობილი და მკითხველში მარტოობის ასოციაციას იწვევს. პოეტს თავისი ორეული მუდამ სდევს განუყრელად და დრო და დრო ესაუბრება კიდეც. ავტორს შინაგანი მონოლოგი გაუმართავს თავის ლანდთან. უდიდესი მარტოსულობის დროს, პოეტის აზრით, როცა ადამიანი ასკვნის, რომ თავისი არსებობა არარაობად იქცევა, მაშინ ეხმიანება სასოწარკვეთილი თავს და იდუმალი ხმები ჩაესმის პასუხად:

„რა გინდა ჩემგან, რას დაეძებ მსტოვარო მუნჯო,
რას მითვალთვალებ, რას დამყვები, რად არ მშორდები,
განა ვერ ხედავ, რომ იარაღს არ ვყრი და ვურჩობ,
თუმც ერთჯერ ვცოცხლობ და აროდეს განვმეორდები!“

ლექსი „ჩემს ლანდს“, თავისი შინაარსით და იდეურ-მხატვრული არსით, ძალიან წააგავს ნიკოლოზ ბარათაშვილის „ხმა იდუმალს“, ხოლო ის ფაქტი, რომ „ცისფერყანწელები“ სულიერ წინაპრად ბარათაშვილს მიიჩნევდნენ, მრავალთან ერთად ზემოაღნიშნული ლექსიც გვიდასტურებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ციური ასპანიძე-მესხიშვილი

რაბათის ციხის სევდა

სევდისფერი გამხდარა,
ვერცხლისფერი რაბათი,
სკაში შებუდებულა გაყინული ფუტკარი,
წუხელ, მთვარემ ძილის წინ,
არ შეასვა შარბათი,
აღარ ესმის დუდუნი
ყელგამოჭრილ ყრუ მტკვარის...

შემოდგომის ფოთლები,
ქსოვენ მესხურ ფარდაგებს,
ცრემლით ჩაჟანგებულა ციხის საკეტურები,
მზის ნაცვლად კი ტაძარში
ბადრი მთვარე ქადაგებს
და დაძრწიან გარშემო ავი-მაკე ტურები...

კალთაკაბებს იცვლიან
თაფლისფერი თუთები
და ფრესკიდან ლოცულობს
დიდმოწამე მარინე!
ათაბაგის ასული,მამის ნასათუთევი,
მთვარის შუქზე ამზადებს
მზისთვის ფერუმარილებს...

თუთის წვენი – ბაქმაზი,
შუბლიდან ხსნის ნაოჭებს,
შლის და ღიმილად აფრქვევს მზე,
სევდისფერ ნაკეცებს...
ციხეს გული ჩაშლილი, დარდით დაუნაოჭეს,
დიდმოწამე მარინე მონაზვნად
რომ აღკვეცეს!..
*
კალთაკაბებს იცვლიან თაფლისფერი
თუთები
და ფრესკიდან ლოცულობს
დიდმოწამე მარინე!..

ძველი ჩიჩილაკები

(ბ ა ბ უ ს)

ცირა გოგო თხოვდება, – ექოდ ესმის ხეობას,
საკალანდოდ მზად არის გურია თუ ოდიში,
ჩიჩილაკის მეფეო, ვინ გასწავლა ხელობა?!
მინდა გადაგიხადო მადლობა და ბოდიში...

შენს გამოთლილ თილისმებს მალე
ცეცხლში დაწვავენ!
საბოლოო განაჩენს ხვალ საღამოს ელიან,
ვიდრე გამოუტანენ უსამართლო განაჩენს,
ლოცვით უნდა მოვუხმო ღვთისმშობელს
და ელიას.

გუშინ გარეთ გაყარეს ძველი ჩიჩილაკები,
(კერიასთან ფუსფუსებს
ძველებურად ბებია!)
მოუსხიათ სველ მხრებზე თეთრი
ფაფანაკები,
სუროს მწვანე ფოთლები თავზე
შემოვლებიათ.

თითქოს გარეთ გააგდეს
ჩემი ტკბილი ბაბუა,
ფუმფულას და თეთრ წვერას,
ვერ ვუშუშებ იარებს!
გახსოვთ, ღობის ბოლოზე,
ცელქი ჩიტი ღაბუა?!
საახალწლოდ ორივემ
მეკვლედ ჩამოგვიარეს!..

არ გრცხვენია, გაზაფხულო?!

უჩემოდ რომ გაიფოთლე, გაზაფხულო,
უჩემოდ რომ დაშრიალებ მარტო ტყეში,
ვერ შევკერე ჭრელი კაბა საზაფხულო,
ამ ცელქსა და გადარეულ ქარის ხელში.
მაკრატელიც არ მათხოვეს
შავ მერცხლებმა,
ან რას ვთხოვდი, განა ისეთს,
დიბა ფარჩებს?!
გთხოვ, ნუ ეტყვი, მაინც გული დაეწვებათ,
შენ გითხარი! – სხვას, ნუ ეტყვი,
ჩვენში დარჩეს!
ზაფხული რომ მობრძანდება და დაცხება,
წავალ ტყეში და ქუდსა ვთხოვ ქამა სოკოს,
ნაკადულსაც დავუკოცნი ციცქნა ფეხებს,
თანაც ისე, შვლის ნუკრმაც რომ
გადალოკოს!..
იცი, გუშინ, დაგინახე ფანჯრებიდან,
ციხიანში, სადაც თეთრი ცაცხვებია.
ცხრაკლიტულში რომ ჩამკეტე,
გაზაფხულო,
მიპასუხე, ნუთუ მართლა
არ გრცხვენია?!
ვიცი,მეტრფი და შორიდან ისევ მეძებ,
სხვა რა გზაა, მეც, შენ უნდა
გაგეპრანჭო...
მომიტაცე, შე სულელო!
– სთხოვე ძეწნებს,
ციხიანში, ცაცხვის ძირში
გადვიკვლანჭოთ!..
მხოლოდ შენთვის კეკლუცობ
და გაზაფხულობ,
რა გაცინებს?! – რომ ამაკარ
პირზე რიდე?!
შემიკერე ჭრელი კაბა საზაფხულო,
თუ გინდა რომ აგვისტოში შეგირიგდე!..

ციური ასპანიძე-მესხიშვილი — 60

ფარვანასავით ფერადი...

ჩემი უსაყვარლესი, გაზაფხულის ფარვანასავით ფერადია!

პირველად, მონასტრისაკენ მიმავალ აღმართზე გავიცანი. ჟრუტუნია ყვავილების სურნელება ასდიოდა და ისეთი ფაქიზი იყო, გულში ჩახუტება მომინდა. ეს შთაბეჭდილება და სურვილი დღემდე მომყვება.

ერთმანეთს იშვიათად ვხვდებით, მაგრამ, მერე რა?! ის სულ ჩემთანაა...

ვიცი, ზოგჯერ უსაზღვროდ უხარია და ამ დროს ულამაზეს, ფერადსამოსელიან ლექსს წერს. მონარნარდება ის ლექსი ჩემთან, ონავრულად აიპრეხს პუჭნია, ფერადი კაბის ბოლოს და ისე საამოდ გამიღიმებს! მეც, არ დავაყოვნებ, დავეწაფები და დავლევ მუზით ნაშობს, რათა ჩემთან დარჩეს...

ისიც ვიცი, ზოგჯერ ძალიან ტკივა და ამ დროს ცრემლისფერი ლექსი იბადება. მე ის ცრემლისფერიც ძალიან მიყვარს, რადგან ალალია, გულწრფელია და ამიტომ მასაც დავეწაფები, რომ დავლიო, ისიც ჩემთან დავიტოვო...

ჰო, მონასტრისაკენ მიმავალ აღმართზე შევიგრძენი მისი ფერადი სამყარო და...

და,

მერე?!

ჩვენი სიყვარული, უნათლეს საქმეში ერთგულება, 21-ე საუკუნის უნიკალური ხელნაწერი ,,ვეფხისტყაოსნის“ შექმნისას გამყარდა. მუზის ტრფიალი ქალბატონი შოთას ნააკვნარ მესხეთში, წვიმასა თუ თოვლში, ქარსა თუ მზეთაკარაში გულდაგულ დაიარებოდა, საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ წოდებულ, კიდევ ერთი მზე წიგნისათვის მესხების უნიკალურ ხელნაწერებს აგროვებდა...

თბილისში, ჩვენ მიერ შექმნილი ოქროსფერი წიგნის წარდგინების დროს, უკიდეგანო სიყვარული მომიტანა, და კიდევ, მესხური, თუთის უგემრიელესი კვერი მომართვა. მე ამის გამო, ჩვენი უფაქიზესი ურთიერთობის გამო, ბედნიერებისაგან სულ მეცრემლება...

ბავშვივით უსათუთესი, მერცხალივით ფრთხიალა და უსაზღვრო სიყვარულის უშურველად გამცემი ფიქრფიორა, გულფიორა, სულმაღალი პოეტი იუბილარია!

ვულოცავ! ვლოცავ !

რას ვუსურვებ?

მუდამ ბავშვური ყოფილიყოს, სიჩვილით გალამაზებულ ბრძნულმოსასხამიან მის პოეზიას მრავალი დაეპურებინოს!

ფერდიდებულად გათენებოდეს ფარვანასავით ფერად, ჩვენს უსაყვარლეს იუბილარს ყოველი დილა!

მაია ტყემალაძე,
ჟურნალისტი, მწერალი

ვეჯა ცაძრიდაძეს!

,,ყოველ ადამიანში გენიოსი ზის!“ – ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. შეუძლებელია, ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ვინმეს ეჭვი შეეპაროს, რადგან ადამიანის ბუნებასაც საჭირო გარემო სჭირდება ნიჭისა და უნარის გამოსავლენად და ხორბლის მარცვალსაც... ჩვენს უცნაურ სინამდვილეში ძნელია საჭირო გზის პოვნა, ადამიანური რესურსის სრულად გამოვლენა და განვითარება, მაგრამ ციური ასპანიძე-მესხიშვილმა ეს შეძლო! შემთხვევით არაფერი ხდება. არც ქალბატონი ციური მოვლენილა შემთხვევით – მისი პოეზია სავსეა სიყვარულით, მზით, სინათლით, უბრალოებით, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის ფერადოვნებით, იქაური წეს-ჩვეულებებითა და ხასიათით... ისე ეფერება, ისეთი სიყვარულით აღწერს ყოველივეს, გრჩება შეგრძნება, რომ ეს უკვე გინახავს ოდესღაც, მანამდე, სანამ მის მშვენიერ პოეზიას გაეცნობოდი... ქრისტიანული მორალით ცხოვრობს ციური მესხიშვილი და მისი ყოველდღიური ცხოვრება სწორედაც, ტაძრისკენ მიმავალი საცალფეხო ხიდია – არ ეშინია ამ ხიდზე სიარულის, რადგან უბე-კალთა მოყვასის ზღვარდაუდებელი სიყვარულით აქვს სავსე. დღეს, მსოფლიო აგონიაშია გაუგონარი პანდემიის გამო. ვერც ჩვენი ქვეყანა ასცდა განსაცდელს. ქალბატონი ციური არ დაიბნა – აქეთ-იქით მიმოფანტული სულის მეგობრები ლიტერატურულ ,,კაფე-კორონაში“ მიგვიწვია... ვირტუალურმა სამყარომ რეალურად დაგვამეგობრა საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები და რეალურად, ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი გახადა ერთმანეთის მწუხარება და სიხარული... სრულიად სამართლიანად, ქალბატონმა ციურიმ კაფეს ,,სიყვარულის საელჩო“ უწოდა, – არის კიდევაც! ,,საზოგადოებაში სიმშვიდისა და იმედის დამყარებისათვის, სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი მაღალი პასუხისმგებლობისათვის!“ – საქართველოს ქალთა საბჭომ, ციური ასპანიძე-მესხიშვილი „მადლიერების სიგელით“ დააჯილდოვა! დიახ, პანდემიის გამოცხადებიდან არც ერთი დილა არ გათენებულა მისი იმედიანი, სიყვარულით გამთბარი წერილის გარეშე... დიდი ოჯახის დედას საზრუნავიც დიდი აქვს, მაგრამ მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ მისიის შესრულება, რომელიც მისმა, ყოვლად ადამიანურმა გულმა ივალდებულა! ამ გლობალურ გაურკვევლობაში განა ბედნიერება არ არის, რომ სამყაროში გვაქვს პატარა ყურე, სადაც გულითადი, ერთგული დიასახლისი გველოდება ყვავილებით, ფერადი ფოთლებით, გემრიელი ნუგბარით სავსე ლანგრით, ჩაისა და ყავის ფინჯნებით, საიდანაც სიყვარული და სითბო იღვრება... ათასი ადამიანი რომ ,,ეწვიოს“ კაფეს, ათასივეს გულში იხუტებს და პოეტური ხელგაშლილობით მასპინძლობს – ეს გმირობაა! ციური მესხიშვილი უამრავი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულია! მისი ლექსების დვრიტა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულია და, მჯერა, კიდევ ბევრჯერ იზეიმებს მისი სული გამარჯვებას! ვულოცავთ საიუბილეო თარიღს – შემოდგომასავით ფერადს, თბილს, ტკბილს, ხვავრიელს, იმედითა და სიყვარულით სავსეს! სიყვარულისთვის, თანადგომისთვის, ერთგულებისთვის, შეუპოვრებისთვის, ხალასი პოეზიისთვის, ულამაზესი სასიტყვეთისთვის! – ,,ვირტუალური“ კაფე-ბარის ,,სიყვარულის საელჩოს“ ბინადარნი, ქალბატონ ციური მესხიშვილს აჯილდოებენ „სიყვარულის ორდენით!“

პატივისცემით,
ციცინო ბაბუციძე,
პოეტი და პროზაიკოსი..

ს ულ ი თ ა ლ ი ვ ი ნ ა ბ ი ს ბ ო ე ტ ი

რა დრო გასულა... ხშირად გვესმის აკვიატებული ეს სიტყვები... ვისთვის დრო ფუჭი, ვისთვის – ოქრო და ოქროზე ძვირფასიც კი... დრო ადამიანის ცხოვრების ბარომეტრია, რომელიც მის ადამიანობას განსაზღვრავს. დრო გვიჩვენებს, ვინ როგორ განვლო წუთისოფელი, ამ დროში როგორ ჩატია მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და რა მისცა ქვეყანას!

ძალზე ადვილი ყოფილა, თურმე, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება, საკუთარი ჭიის გახარება, უძნელესი – როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ცხოვრებით ცხოვრება, სხვაზე ფიქრი და გაჭირვების ჟამს – შეხიდება.

ნოდარ დუმბაძის გენიალური ნათქვამისა არ იყოს, მართლა ძნელი ყოფილა სხეულზე მეტად სული რომ გიმძიმს და, მაინც, სხვაზე ფიქრობ, სხვისი გაუსაძლისი ცხოვრება გაწუხებს და საკუთარს ივიწყებ.

დიახ, ასეც ხდება, ჩვენო ციური. ვინც ვერ გიცნობს, თქვენში ცხოვრებით გალაღებულ ადამიანს ხედავს, მუდამ კმაყოფილს, ხალისიანს, მოუსვენარს, დაუდგრომელს, უდარდელს, თუმცა ... რამხელა სევდით სავსე ტვირთს დაატარებთ საკუთარ თავთან ჭიდილში, თქვენი საყვარელი ოჯახის, ქვეყნის, ადამიანებზე ზრუნვისთვის, რაც არც თუ დიდად შესამჩნევია ზოგისთვის, არა და სულიერი სიმტკიცე, რაც თქვენშია ჩაბეტონებულ-ჩაკირული, იმის ნათელი მაგალითია, თუ რა ძალუძს საქვეყნო საქმეების საკეთებლად ცხოვრების ორომტრიალს შეჭიდებულ მებრძოლ ადამიანს, მით უფრო – ქალბატონს.

თქვენ ბევრი დიდი საქმის შემომქმედს, ღირსეულ და მისაბაძ ადამიანს, მეცნიერს, ნაღდ პოეტს, შესანიშნავ მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს, ნირს ვერ გიცვლით ის დიდი პრობლემები, რომელიც დამოკლეს მახვილივით თავს დაგტრიალებს, მაგრამ უდრტვინველად, სიზიფეს სიმტკიცით იტანთ და უმკლავდებით ყოველივეს, შეუდრეკელი სულისკვეთებით ბევრი საქვეყნო საქმის სათავეებთან დგახართ და გასაკვირი ისაა, თქვენს მთავარ საფიქრალს გვერდზე რომ წევთ და სხვისი სადარდებელი საკუთარ სადარდებლად რომ გაგიხდიათ.

თქვენი შემოქმედება, ორიგინალური თარგმანები, ხელიხელსაგოგმანებია პოეზიის თითოეული თაყვანისმცემლისათვის.

დღეს ბევრი საინტერესო და თვითმყოფადი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი გვყავს, ან რა გამოლევს მათ – საქართველო ხომ პოეტების ქვეყანაა, ლექსის გარეშე რომ ვერ წარმოგვიდგენია იგი, თქვენ კი, ამ პოეტებში, ვინც თქვენს პოეზიას კარგად იცნობს, მართლაც გამორჩეული ხართ და ეს არაერთხელ გამოჩნდა მაშინაც, როდესაც გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ტრადიციულ კონკუსებში რამდენჯერმე მიიღეთ მონაწილეობა და ორგზის პირველი პრემიის ლაურეატი გახდით (ამ კონკურსებში ხომ ბევრი საქვეყნოდ ცნობილი პოეტი ღებულობს მონაწილეობას), ეს კი დასტურია იმისა, რომ მართლაც კარგი შემფასებელიც გყავს და დამფასებელიც.

საიუბილეო თარიღი შეგისრულდათ ჩვენო ციური და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა“ და მისი თითოეული მკითხველის სახელით მოგილოცავთ ამ ღირსეულ იუბილეს, ნაყოფიერად განვლილ, თუმცა ლაბირინთებით სავსე ცხოვრების გზას. ღმერთმა, უპირველესად, ჯანმრთელობა მოგანიჭოთ, ბევრი შეგაძლებინოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის სამსახური, სულით ძლიერო პოეტო და ქვეყნის ღირსეულო მოქალაქევ!

გაზეთ „ლიტერატურული
მესხეთის“ სახელით,
ავთანდილ გერიძე

ზღაპარი ერთგულებაზე

დროებასა ერთსა, ერთი ხემწიფე იყო. ცოლი და ქმარი შეედავნენ ერთმანეთს, რომელი უფრო ერთგულია – ქალი თუ კაციო.

დედოფალი ეუბნება – ქალიო.

ხემწიფე ეუბნება – კაციო.

ხემწიფემ დაწერა ქაღალდი: თუ ქალის ერთგულებამ აჯობა, მაშინ კაცის სახსენებელი აღარ იქნებაო, თუ არა და – ქალისაო.

ეს ქაღალდი რო დაბეჭდეს, მსახურებს დაუძახა და უთხრა:

– ტომრების მქსოველი კაცი მოიყვანეთო.

წავიდნენ და მოუყვანეს.

– გამარჯობაო! – უთხრა ხემწიფემ

– გაგიმარჯოსო! – უპასუხა მქსოველმა.

– როგორ ცხოვროფო?

– კარგათო, რისთვის დამიბარეთო?

– კაცოო, – უთხრა ხემწიფემ კაცს, – შენ რო კოჭლი ქალი აგიყვანია ცოლათ, რათ გინდა, დასტოვეო და მე ჩემი ვეზირის ქალიშვილს მოგცემო.

კაცი დაფიქრდა და უთხრა:

– არა ბატონო, კოჭლია, კარგია, ჩემი ჯვარია, ვერ დავტოვებო.

– წაიყვანეთო! – უბრძანა ხემწიფემ თავის მსახურებს.

კოჭლმა ქალმა არ იცის, რო ხემწიფემ დაუძახა თავისთან ტომრების მქსოველი და ეხლა იმის ცოლს დაუძახა:

– შენი ჭირიმე, – დაუწყო ლაპარაკი ხემწიფემ ქალს, – რათ გინდა რო ტომრების მქსოველი აგირჩევია ქმრათ, დაანებე თავი, მე ისეთ კაცს შეგრთავ, რო ბედნიერათ იცხოვროო.

ქალს ჭკვაში დაუჯდა ხემწიფის ნალაპარაკები და უთხრა:

– ნება შენი იყოს, ბატონოო!

– წაიყვანეთო, – ბრძანა ხემწიფემ. ხემწიფე მივიდა დედოფალთან და უთხრა:

– ქალის ერთგულებამ აჯობა თუ კაცისამო?

ქალმა ვეღარაფერი უთხრა. მაშინ ხემწიფემ გასცა ჯარს ბრძანება, ქალის სახსენებელი არ იყოსო.

დედოფალმა უთხრა ხემწიფეს:

– ხუთი დღე მადროვეო.

გაგზავნა დედოფალმა მსახური და თუთიყუში მოაყვანინა, თითონ წერილი დაწერა თავის ძმასთან: „ძმაოჯან, დგეხარ, წამოდი, წამოწოლილი ხარ, წამოდიო. ხემწიფემ გადაწყვიტა, ქალების სახსენებელი გაწყვიტოს და მიშველეო“.

გაფრინდა თუთიყუში და თან წაიღო წერილი.

სად იყო, სად არა, გადმოფრინდა ეს კაცი თავის დასთან. შემოვიდა თუ არა, დაინახა, რო ყველას შავი აცვია და ძაან დაღონებულები არიან.

– გამარჯობათო! – უთხრა დედოფლის ძმამ. ზოგმა გამარჯობა უთხრა, ზოგმა არა.

– რამ დაგაღონათო?

უთხრეს:

გარეთ შვილდ-ისარი მაქ, შემომიტანეთო – თქვა კაცმა.

წავიდნენ, მაგრამ ვერავინ ვერ ასწია. გავიდა კაცი, ცალი ხელი დაავლო და შემოიტანა.

ყველას გაუკვირდა. ამ კაცმა დაიწყო:

– დროებასა ერთსა, ერთ მინდორში მივდიოდი. გზაში ერთი კაცი შემხვდა. ჩვენ წინ, კარგა მოშორებით, ერთი კოშკი იდგა. ამ კაცმა შავი ქვა დამანახა კოშკზე და მითხრა: აბა, შევეჯიბროთ, რომელი მოარტყამს იმ შავ ქვასაო.

გაისროლა და მოარტყა. გავისროლე და ავაცდინე. მაშინ თავისი შვილდ-ისარი მომცა და – ესროლეო, – მითხრა. ძლივს დავძარი იმისი შვილდ-ისარი, მაგრამ მაინც გავისროლე და მოვარტყი.

– გეყოფა ხუმრობაო, – მითხრა იმ კაცმა და წამიყვანა. შუა ტყეში შემიყვანა. დავინახეთ ციხე. ცხენები გავაჩერეთ. დამაბევინა ცხენები და მითხრა: – აბა, ჩემი ხურჯინი ჩამოიღეო! ორი ხელით ვერ ავიღე. იმან აიღო ისე, ვითომ ცარიელი ყოფილიყო.

– ამ ციხეში მტრები მყავსო. თუ მოვინაკლულე[1], ჰარი-ჰარალოს დავძახებ და არსად წახვიდეო. თუ მომკლა, მაშინ ჩემ ცხენზე დაჯექი და თავს უშველე, თორე თავს მოგჭრისო.

ხურჯინი გადაიდო მხარზე ამ კაცმა და მივიდა ციხესთან. ლურსმნით გააკეთა კიბეები და ჩავიდა შიგ ციხეში. მძინარე არ მოკლა, გააღვიძა.

– აქაც მომაგენიო! – დაიყმუვლა დევმა და შეებრძოლა. შვიდი საათი იბრძოლეს. მე გარეთ კანკალი გამქონდა. უცებ გავიგონე: ჰარი-ჰარალიო და ეს კაციც გამოჩნდა. ხურჯინში ჩაუდია ამ დევის თავი და მოაქ. სუ ერთიან სისხლიანია თითონ.

მოვიდა და გადამეხვია.

– შენი შეყრის გზის ჭირიმე, მტერი მოვინაკლულეო.

თითონ პირის დასაბანად წავიდა. იქიდან რო დაბრუნდა, გახსნა ხურჯინი, თავისი მტრის კამეჩისტოლა თავი ნაკუწ-ნაკუწ დაჭრა და გადააგდო.

წამიყვანა, მაროინა, მაროინა, მიმიყვანა თავის ოჯახში.

– თავლაში დააბი ცხენიო, – მითხრა და თვითონ სხვა ოთახში შევიდა. იბანავა თუ რა ქნა, არ ვიცი, გამოვიდა მასკულავივით ქალიშვილი. – გული არ გაიმრუდოო, – მითხრა, – ქალიშვილი ვარო. ჩემი ქმარი მკვდარია და ეხლა მეც იმასთან უნდა მოვკვდეო – დაიცა ხანჯალი და მოიკლა თავი. იმ კოჭლი ქალის გულისთვინ როგორ უნდა დახოცო მთელი ქვეყნის ქალებიო! – უთხრა ხემწიფეს.

ხელწიფეს მართლა მეეწონა ცოლის ძმის მოთხრობილი ამბავი და აღარ დახოცა ქალები.

მთქმელი სპირიდონ ლაზარაშვილი. 77 წლის, ასპინძის რაიონი, სოფელი ვარგავი, ჩაიწერა თეიმურაზ ქურდოვანიძემ 1965 წელს
თსუ ფა N4053

1 მოვკალი, დავამარცხე

თერთმეტი ვაჟიშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი გლეხი. ჰყავდა თერთმეტი ვაჟიშვილი, ერთიც ქალი. ქალი იქნებოდა შვიდი-რვა წლის, როცა დედა მოუკვდათ. რო მოუკვდათ დედა, წავიდა მამამისმა და სხვა ქალი მოუყვანა შვილებს. ამ დედინაცვალმა ეს შვილები ისე აითვალისწუნა, რომ არ უნდოდა სახლში გაეჩერებინა. იმის შემდეგ ქმარს ეუბნებოდა, მომაცილე ესენიო. მამა იყო და ხომ ვერ მოიცილებდა, მაგრამ ბავშვები იძულებულები იყვნენ სახლიდან წასულიყვნენ. დედინაცვალმა დასწყევლა ეს ვაჟიშვილები. მერე ფრინველად იქცნენ ეს ბავშვები და წავიდნენ. დილით ფრინველები იყვნენ, როცა დასხდებოდნენ – ადამიანებად იქცეოდნენ. მემრე გოგო რო ჰყავდა, ძლიერ ლამაზი იყო. ამ დედას მოდიოდა გული და არ იცოდა, რა გაეკეთებინა, რომ ეს გოგო მოეცილებინა.

ერთ დღეს ადგა ამ დედინაცვალმა და წაიყვანა ეს გოგო აბანოში. აბანოში რომ წაიყვანა, ღაჯაჯას აკოცა და უთხრა, თავპირზე დააჯექიო და მოუწამლე ეს თავპირიო. მერე რო დააჯდა თავპირზე, არაფერი გამოაჩნდა – არც მუწუკი გაუჩნდა და არც დააყარა რამე. მას შემდეგ მოიყვანა ეს გოგო სახლში და მაზუთით სახე შეუთხუპნა ისე, რომ მარტო თვალები უჩანდა. დახედა ამ გოგომ და რომ შეიტყო ვერ განიკურნებოდა, ადგა და სახლიდან წავიდა. გადაიკარგა ტყეებში. ამ გოგომ ცოტა იარა, თუ ბევრი ტყე-ღრეში, წყალი მოსწყურდა და მოშივდა. ერთხელ სიზმარში ნახა ერთი მოხუცი კაცი, იმ მოხუცმა უთხრა, ჭინჭარი მოგლიჯე და იმით შენ ძმებს ქულაჯები მოუქსოვე და ჩააცვიო. რო მოქსოვ და ჩააცვავო, ადამიანის შვილებად იქცევიან ისევეო. იმის შემდეგ სულ ფიქრობდა ის გოგო, სად ვნახავ ჩემს ძმებსო, რომ ქულაჯები მოუქსოვო და ჩავაცვაო. გოგო მაინც კრეფდა ჭინჭრებს და ქსოვდა ქულაჯებს. ერთ დღესაც, წყლის პირას, ცეცხლი დაინახა და მის მიმართულებით წავიდა. რომ მივიდა, იქ თავისი ძმები ნახა, მაგრამ არ დალაპარაკებია, რადგან არ შეიძლებოდა დალაპარაკება. მერე ძმებმა დააბინავეს ეს გოგო ერთ ალაგას და მერე თვითონ ისევ გედები გახდნენ. გოგო კი ისევ ვერ იღებდა ხმას, რომ ძმებს მერე ვეღარ ნახავდა ვერც ცოცხლებს და ვერც მკვდრებს. ძმებმა იფიქრეს, ეს ჩვენი და როგორ წავიყვანოთ, ზღვაზე როგორ გადავიყვანოთო. ბოლოს მოიფიქრეს, მოქსოვეს ერთი კალათა, ისეთი, რომ ის გოგო შიგ ჩატეულიყო. კალათას ათი ყური გაუკეთეს და შიგ ჩააწვინეს. ზღვაში ერთი დიდი ქვა იყო. რო გადაფრინდნენ და თან წაიყვანეს, გზაში დაუღამდათ და იმ ქვაზე დასხდნენ, დილით კი ზღვის იქით გადაიყვანეს. ეს გოგო ხმას მაინც არ იღებდა, არც ძმებთან და არც არავისთან. ბოლოს ერთი დიდი გამოქვაბული ნახეს და ის გოგოც იქ მიიყვანეს. დილით ეს ბიჭები ისე გაფრინდებოდნენ, ღამით კი დასთან ბრუნდებოდნენ. და კი ისევ და ისევ არ იღებდა ხმას. ქულაჯებს კი ნელ-ნელა ქსოვდა. ერთ დღესაც ხელმწიფის შვილი სანადიროდ წამოვიდა ამ მხარეში თავის მეძებრებთან ერთად. მეძებრებმა ეს გოგო რომ დაინახეს გამოქვაბულში, ყეფა დაუწყეს. ყეფის ხმა რომ გაიგო ხელმწიფის შვილმა, თქვა, ალბათ, აქ რამე არისო და იმიტომ ყეფენ მეძებრებიო. მივიდა და ნახა, რომ გამოქვაბულში ერთი მზეთუნახავი ქალია და თქვა, რაც უნდა მოხდეს, ამ ქალს ცოლად მაინც მოვიყვანო და მაშინვე წაიყვანა. სასახლეში რომ მიიყვანა, ეს გოგო მაინც არ ელაპარაკებოდა არავის. ღამ-ღამობით ჩუმად მიდიოდა სასაფლაოზე და ქსოვდა. მეფის შვილს კი, უფლისწულს, ეუბნებოდნენ, შენი ცოლი სასაფლაოზე დადის და ყურადღება მიაქციეო. მაგრამ ხელმწიფის შვილს ეს გოგო ძალიან შეუყვარდა და ვერაფერს ვერ ეუბნებოდა. გოგოს ძმები რომ დაბრუნდნენ და თავისი და რომ ვერ ნახეს, ძებნა დაუწყეს.

ერთ დღესაც ამ გოგომ დაამთავრა თავისი თერთმეტივე ძმისათვის ქულაჯების მოქსოვა, მაგრამ ერთ ქულაჯას ერთი მკლავი დააკლდა. ისე კი ქულაჯების ქსოვაში ბევრი ტანჯვა-წვალება გადაიტანა. და მაინც გოგო ხმას არ იღებდა. ერთ დღესაც ამ გოგოს ძმებმა – გედებმა გაიგეს თავიანთი დის ადგილსამყოფელი, ყველა ერთად შეიჭრა დის ფანჯარაში. გოგომ დაინახა თუ არა თავისი ძმები, ყველას ჩააცვა ქულაჯა. პატარა ძმას რომ ჩააცვა დაუმთავრებელი ქულაჯა, უმკლავი ფრთა დარჩა. მერე იმ გოგომ ამოიღო ხმა და ის ძმებიც გადაიქცნენ ადამიანებად.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

მთქმელი ერმონია ლეკიშვილი, 67 წლის, სოფელი თოკი,
ჩაიწერა მ.კოჭლავაშვილმა
1965 წელს. თსუ ფა N3988

„მიყო ციხესა ეჰა ჯარითა!“

მესხეთი

მე ვუყვები ჩემს მესხეთზე
ნებისმიერს, ვინც გზად მხვდება,
ჩემი კუთხის ისტორიას
ყველა გრძნობით ეკიდება.

ქუხს და ნათლად ფერადდება
მზის ქალაქი, ძველი ციხე,
მძაფრად ბორგავს ქარით, წვიმით,
შორს განთქმული ახალციხე.

მესხის გული არ ივიწყებს
კლდეში ნაკვეთ ძეგლს – ვარძიას,
ახლაც ისმის დაკარგული –
თამარის ხმა: „აქ ვარ ძია!“

ჯავახეთში, მაღალ მთაზე
გალავნებით შემორტყმული,
ციხე ჰქვია ხერთვისისა,
სალ კლდის ქიმზე აღმართული.

კვლავ იმედით ვეფერები
ქართულ ტაძარს მრავალწლოვანს,
მას საფარას უწოდებენ,
მის მშენებლებს – სახელოვანს!

სიამაყით გავიხსენებ
დიდ მესხელებს – ძველად მუშქებს,
არვინ დასთმობს ქართულ მიწებს,
სანამ ძარღვში სისხლი უჩქეფთ.

თქვენთვის კარგად ნაცნობია
მესხელებზე ლექსად თქმული,
„ქართველობა ხომ რთულია,
მესხობაა რთულზე რთული!“

დედის ლოცვა

მაშინ, როცა ტკბილად გძინავს,
არაფერზე ფიქრობ, დარდობ,
ღამით დედა სარკმელთან დგას
და თბილ ხელებს ცაში აპყრობს.

დედის ლოცვა ცასა სწვდება,
ღრუბლებს კვეთავს ცრემლი დედის,
ღვთისმშობლისთვის წუხილის თქმა
წამალია განსაცდელის...

უსასრულო ცას გაჰყურებს –
ღრუბლებსა ჰკვეთს ცრემლი დედის,
ღვთისმშობლისთვის წუხილის თქმა
წამალია განსაცდელის.

გულმხურვალე ლოცვით ითხოვს
შვილებისთვის დახმარებას,
იმედით კი გულში ამბობს –
აძლიერებს ლოცვა დედას.

დედის ლოცვა ცასა სწვდება
არ სჩვევია სხვა ჩივილი,
უცბად ქრება ყველა დარდი,
მწუხარება და ტკივილი.

ელენე გვარამაძე,
ახალციხის მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლე

მხიარულ-ეკლიბოგირეული ჩანასახებიდან

ნომადი ბართაია

***

ერთხელ, საახალწლოდ, სოფლიდან კუპატი ჩამომივიდა. მოგეხსენებათ მეგრული კუპატის გემო... მიზეზი მომეცა და კუპატსა და ცხელ ღომზე დავპატიჟე ზაურ ბოლქვაძე, გურამ ფანჯიკიძე, ტარიელ ჭანტურია, გივი ძნელაძე და თამაზ წივწივაძე. კარგად მოვილხინეთ. ზაურმა წინადადება შემოიტანა, რომ შემოგვეღო დღესასწაული – „კუპატობა“, რომელიც ყოველ წელს უნდა გამართულიყო ჩემთან. ეს ის წლებია, როცა სოკოებივით იყო მომრავლებული დღესასწაულები და ყოველდღე ახალი და ახალი ემატებოდა მათ რიცხვს....

გავიდა ერთი წელი და ისევ გაიმართა „კუპატობა“ ჩემთან.

მესამე წელს, რატომღაც, გადაცილდა „კუპატობა“ დათქმულ დროს და ზაურისგანაც ხმამ არ დააყოვნა – წელს ნომადმა კუპატივცემლოდ დაგვტოვაო!

ამის გაგონება და „კუპატობის“ გამართვა ერთი იყო.

***

„ნიანგში“ აქტიურად თანამშრომლობდა ნოდარ შამანაძე, ზაურის ერთ-ერთი უსაყვარლესი მეგობარი. შესანიშნავი პიროვნება, პოეტი და მეცნიერი.

ერთხელ ნოდარმა მორიგი მასალა დაბეჭდა „ნიანგში“. ნოდარი ყოვლთვის მიზეზს ეძებდა ერთმანეთთან მოსაფერებლად და, ამჯერად, მასალის გამოქვეყნების აღსანიშნავად, სოფლის არაყი და ჩურჩხელა მოიტანა და სახინკლეში დაგვპატიჟა. ზაურმა უთხრა: ღომო ჰონორარი გამოწერილია და აიღეო.

ნოდარმა ჰონორარი რომ აიღო, ისევ დაგვპატიჟა სახინკლეში და ისეთი სუფრა გაშალა, „ნიანგიდან“ აღებული ბარე ხუთი იმდენი ჰონორარი არ ეყოფოდა.

ამის მერე ზაურმა „ნიანგის“ რედაქციის დერეფანში დაგვინახა მე და ნოდარი, მეგონა მადლობას ეტყოდა. ამ დროს, პირიქით, ვითომ საყვედურის ტონით უთხრა: კარგი იყო ჰონორარი რომ აიღე, არა? შეიტყაპუნე ხომ პურმარილი!..

ნოდარმა გადაიხარხარა და მიუგო:

– არა, რას ქვია შევიტყაპუნე, პურმარილს ახლავე ვკისრულობო!

– ახლა არ მცალიაო, – უპასუხა ზაურმა.

ამის მერე ზაური, კარგა ხანს, ყოველ შეხვედრაზე, ეტყოდა ხოლმე ნოდარს: – შეიტყაპუნე ხომ, პურმარილიო! ნოდარიც გადაიხარხარებდა და ეპატიჟებოდა, მაგრამ ზაური ხან რას მოიმიზეზებდა და ხან რას.

***

ზაურის სახლში სოფლის კარგი არაყი ჰქონია, რაც ფილიპე ბერიძის ყურამდე მისულა.

ერთხელ ფილიპე და ზაური შეზარხოშებულები არიან. ფილიპეს უთქვამს, – გამასინჯე ერთი ის შენი არაყიო.

– ახლა ორივენი ნასვამები ვართ, ნანა (ნანა დარჩია, დიდებული ქალბატონი – ზაურის მეუღლე) სასმელს არ გამოგვიტანსო.

არ მოეშვა თურმე ფილიპე. მაშინ ზაურს ასეთი რამ მოუფიქრებია – ახლა მე წავალ სახლში, ნახევარი საათის შემდეგ, ვითომ მესტუმრეო.

მოსწონებია ფილიპეს ეს იდეა და ნახევარი საათის შემდეგ ზარი მიუცია ზაურისთან. ზაურის ფილიპე რომ დაუნახავს გაულანძღავს – ნასვამი რად მოხვედი, წადი აქედანო!

ფილიპე არ მიდის თურმე. ზაური უფრო გაცხარდა ვითომ – რამდენჯერ უნდა გითხრა ნასვამი არ დამენახო, წადი ახლა აქედანო და ის იყო კარები უნდა მიეხურა, რომ ხმაურზე ნანა გამოსულა – რაშიაო საქმე, უკითხავს გაოცებით.

– რაშია და ფილიპე მოვიდა ნასვამი და სახლში არ ვუშვებო!

ნანა გაოგნებულა – ისეთი რა ნასვამია, სახლში რომ არ შემოიშვებაო და გაუღია კარი.ნანას დანახვაზე ფილიპე ვითომ უკან გადგომია გზას. გამოკიდებია ნანა და ძალით შემოუყვანია ფილიპე სახლში.

მერე ყველაფერი ქართული წესითა და რიგით წასულა...

***

მაშინ არაფერი უცხოური არ იშოვებოდა. უცხოურს ვინ ჩივის, რემონტს ვაკეთებდი და, ქურდული სამყაროს ჩარევის გარეშე, ერთი ვედრო ერევნის ემულსია ვერ ვიშოვე ვერსად.

პიანინოს ყიდვა მინდოდა. შუამდგომლობა გამოვართვი ზაურს „ნიანგიდან“, რომელიღაც ბაზაში მისატანად. დამატებით დამჭირდა კიდევ რაღაც ცნობა და, მეორე თუ მესამე დღეს, ისევ მივედი მასთან.

ზაური ვითომ გაბრაზდა და საყვედურით მითხრა: – ღომო, შუამდგომლობა მოგეცი, პიანინოს გამოგიყოფენ, მეტი რა გინდა, დაკვრა მე არ ვიცი, თორემ მოვიდოდი და დაგიკრავდი, ელისო კიდევ აქ არ არის, საზღვარგარეთააო!..

საუბარია ზაურის ქალიშვილზე, მსოფლიოში სახელგანთქმულ პიანისტზე ელისო ბოლქვაძეზე, რომელიც მაშინ საზღვარგარეთ იმყოფებოდა გასტროლებზე.

***

გურამ ფანჯიკიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, ზაურ ბოლქვაძე და სხვანი ხშირად იკრიბებოდნენ ჭაბუა ამირეჯიბთან, სადაც იშლებოდა შინაურული სუფრები, ერთობოდნენ მეგობრები.

ჭაბუა, შიგადაშიგ, უკითხავდა ხოლმე მათ ახალ თავებს თავისი რომანიდან „დათა თუთაშხია“.

დაიწყო თუ არა „ცისკარმა“ ამ რომანის ბეჭდვა, მაშინვე გამოჩნდნენ მოშურნენი ჭაბუასი და ნაწარმოების ქურდობას აბრალებდნენ მას .

მაშინ ჭაბუამ მეგობრებს, ერთ-ერთ მორიგ სტუმრობაზე, შესჩივლა:

– თქვენ მაინცა ხართ მოწმენი, ამ რომანს თქვენ თვალწინ რომ ვწერდიო.

– კი, წერდი, ღომო, ჩვენ თვალწინ მაგ რომანს, მაგრამ, ხანდახან, ცალი თვალით რაღაც დაბლა იხედებოდიო – ჩაილაპარაკა ზაურმა.

***

რაც შეეხება ზაურ ბოლქვაძის პოეზიას, მასზე იმაზე მეტი რა უნდა ითქვას, ვიდრე მისი ერთი ლექსი ამბობს:

***

ცოტა ხნით, კარგო და ძვირფასო
მკითხველო,
ჩემი პოეზიის ბაღში შემობრძანდი!
თან გთხოვ: ყვავილები არ გადამითელო!-
ცოდონი არიან! – შვილივით გამოვზარდე!
აქ ზოგი ყვავილი სიხარულით ხარობს,
ზოგი მწუხარეა, ზოგი ნაღვლიანი!..
ჩემო პოეზიის ბაღო, მეგობარო,
სიხარულისა და სევდის ბაღი არის!

ზაური დღეს ჩვენთან არ არის, მაგრამ იმედი დაგვიტოვა, რომ იგი როდესმე ჩვენთან მოვა, რადგან არ შეიძლება მას სიცოცხლე არ მოენატროს:

მე პოეტი ვარ – მიწა ვარ, ცა ვარ!..
მე პოეტი ვარ – სივრცე ვარ, დრო ვარ!..
მომენატრება სიკვდილი – წავალ!..
მომენატრება სიცოცხლე – მოვალ!..

ჯანსუღ ჩარკვიანი

1974 წელია, ჩემი ლექსების პირველი კრებული გამოვიდა და რას ვხედავ, წინ უძღვის ჯანსუღ ჩარკვიანის არაჩვეულებრივად თბილი წინასიტყვაობა.

წიგნის რედაქტორმა გრიგოლ ჭულუხიძემ ყველაფერი ამიხსნა: თურმე, გამომცემლობა „მერანში“ გამოსაცემად მიტანილი ჩემი ლექსები, სარეცენზიოდ, ჟურნალ „ცისკარში“ გაუგზავნიათ.

მაშინ „ცისკრის“ რედაქტორი იყო ჯანსუღ ჩარკვიანი, თავისი გუნდით: ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, გივი ძნელაძე, ემზარ კვიტაიშვილი და მამია მალაზონია.

„ცისკრის“ რედაქციას ლექსები მოსწონებია და გამომცემლობისთვის დადებითი რეცენზია გამოუგზავნია, ხოლო რედაქტორს – ჯანსუღ ჩარკვიანს, წინასიტყვაობით, ასე ვთქვათ, ბეჭედი დაუსვამს რედაქციის საერთო აზრისთვის.

როგორც ყოველთვის, მაშინაც ჰქუხდა ჯანსუღ ჩარკვიანის სახელი, როგორც პოეტისა და როგორც რაინდი კაცისა. რამხელა სიხარული იყო ჩემთვის მწერლობაში ასეთი ადამიანის მიერ გზის დალოცვა!

გაბრუებული ვიყავი, დღე ერთი იყო და, ვინ იცის, რამდენჯერ წავიკითხავდი სტამბის სურნელოვან პაწია ლექსების კრებულს.

წინასიტყვაობამ ლამის ლექსები დამავიწყა. შეფარდება ასეთი იყო: ლექსებს თუ ერთხელ გადავავლებდი თვალს, წინასიტყვაობას ათჯერ წავიკითხავდი გულდაგულ.

ბუნებრივია, პირველი წიგნის დაბადება დაილოცებოდა. მივედი „ცისკრის“ რედაქციაში, რათა დაგვეთქვა დრო და ადგილი. შევთანხმდით, რომ ამა და ამ დროს შევიკრიბებოდით ჩემთან, სახლში.

მოხდა ისე, რომ ჩვენი შეხვედრა გადაიდო.

გავიდა სამი-ოთხი დღე და მასმედიის საშუალებებმა ამცნო საზოგადოებას, რომ 14 მაისს, ანუ იმ დღეს, როცა წვეულება მქონდა, პირველად გაიმართებოდა დიდი სახალხო დღესასწაული – „გარეჯობა“.

გულმა რეჩხი მიყო, ჯანსუღ ჩარკვიანის გარეშე ასეთი დღესასწაული არ ჩაივლის, მომინევს სუფრის გადატანა-მეთქი და მივედი ისევ რედაქციაში.

ეტყობა, რახან ერთხელ გადაიდო ჩვენი შეხვედრა, ძალაში დარჩა შეთანხმება, ბატონი ჯანსუღი „გარეჯობაზეც“ წავიდოდა და ჩვენთანაც მოვიდოდა.

დადგა ჩვენი შეკრების დღეც. დანიშნულ დროზე, ერთიმეორის მიყოლებით, მოვიდნენ სტუმრებიც. „ხრუშოვკა“ სახლში, ფართის სიმცირის გამო, იძულებული გავხდით, პირდაპირ გაშლილ სუფრას შემოვსხდომოდით.

არაცისკრელებიდან ჩემს სიხარულს იზიარებდნენ ჩემი მეგობრები: ზაურ ბოლქვაძე, გურამ ფანჯიკიძე და თამაზ წივწივაძე.

ვუსხედვართ გაშლილ სუფრას და ხელს არაფერს ვაკარებთ, ველოდებით დავით გარეჯის უდაბნოდან კაცის მოსვლას.

მე შენ გეტყვი, მობილურით დაურეკავ და გაიგებ რამეს, სად არის, სად არა, მოდის, არ მოდის...

– რა ვქნათ, დაველოდოთ, ჯანსუღს? – იკითხა ერთმა.

– დაველოდოთ, მაგრამ დიდი იმედი არა მაქვს, მაგას ვინ გამოუშვებს იქიდან, თამადად ეყოლებათ გაქაჩული, – ჩაილაპარაკა უიმედოდ მეორემ.

– მართალია, ჯანსუღს ვინ გამოუშვებს იქიდან, დაადასტურა მესამემ.

– არა, ჯანსუღმა თქვა, მოვალო, ესე იგი, მოვა, – გამოხატა თავისი აზრი მეოთხემ.

ამ მარჩიელობაში ზარიც დაირეკა. გავიტრუნეთ ყველანი და დაველოდეთ კარის გაღებას. აი, გაიღო კარი და შემოდის ჯანსუღიც.

ავივსეთ სიხარულით ყველანი. სიხარულთან ერთად, ცოტა არ იყოს, გაკვირვებაც კი გამოგვეხატა სახეზე!..

– ე, ბიჭებო, გამიშრა ყელი, მაჭამეთ და დამალევინეთ რამეო! – ლამის შეგვევედრა ჯანსუღი.

– თამადა შენა ხარ და შენ გვაჭამე და დაგვალევინე რამეო, – მიუგო ახლადშემოსულს მამამ და ერთხმად მივულოცეთ თამადობა ბატონ ჯანსუღს.

ვინ მოთვლის, ჩემსავით, რამდენი ვინმესთვის დაულოცია გზა ჯანსუღ ჩარკვიანს.

კუპონების წლებიდან

გასული საუკუნის საშინელი 90-იანი წლებია, კუპონების პერიოდი. უნივერსიტეტში აღებული მთელი სემესტრის ხელფასიდან სამი ლიტრი მზესუმზირის ზეთის ყიდვა შემიძლია. ჩავდე სამლიტრიანი ქილა ჩემს წიგნების ჩანთაში და გავემართე საკოლმეურნეო ბაზრისკენ, ზეთის საყიდლად. რუსთაველზე ფეხით მივდივარ და ვხედავ, საპირისპირო მხარეს, პარლამენტის შენობასთან, მოდიან ჩემი მეგობრები – მწერალი ჯუმბერ ტიკარაძე და გივი ჭიჭინაძე. მივუახლოვდით ერთმანეთს თუ არა, მეგობრებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და გადაიხარხარეს.

მივესალმეთ ერთმანეთს და ვუთხარი, რა იყო, რა გაცინებთ-მეთქი? – ახლა რომ მოვდიოდით, ვნატრობდით, ნეტავი ისეთი კაცი შეგვხდეს, თან სამი ლიტრა ღვინის ფული ჰქონდეს, თან სამლიტრიანი ქილა, კოლმეურენთა მოედანზე რომ ღვინო ვიყიდოთ იაფად, თან ჩვენი მეგობარი იყოსო... და, ამ დროს, შენ გამოჩნდი, ჩვენსავით უქონელიო!..

– მერე და რა იცით, რომ თქვენსავით უქონელი ვარ, ღმერთს მადლობა უთხარით, ჩემ თავს რომ შეგახვედრათ, თან სამი ლიტრა ღვინის ფული მაქვს, თან სამლიტრიანი, თან კოლმეურნეობათა მოედანზე მივდივარ და თან თქვენი მეგობარი ვარ-მეთქი.

ამასობაში ჩანთაც გავხსენი, ქილა ვაჩვენე, შემდეგ კუპონები ავუფრიალე თვალწინ ორივეს და... სამივენი კოლმეურნეობათა მოედნისკენ დავეშვით, სადაც ვიყიდეთ ღვინო, პური და წნილი, მოვძებნეთ მყუდრო ადგილიც და გემრიელადაც ვიჭიკჭიკეთ.

კარგი და ნუ გათათრდებიო

საბჭოთა კავშირის დაშლის მერე, მასში შემავალმა რესპუბლიკებმა კი მოიპოვეს თავისუფლებმა, მაგრამ ამ პროცესს მოყოლილმა ცვლილებებმა ბევრი თავსატეხი გაუჩინა თითოეულ მათგანს.

რუსეთის იმპერია ადვილად ვერ შეელია და ვერ ელევა თავის იმპერიულ ზრახვებს.

ყველა რესპუბლიკას თავისებური პრობლება შეუქმნა ახალმა ვითარებამ, ზოგმა როგორ მოინელა თუ ინელებს მას და ზოგი როგორ. ზოგმა ხელუხლებლად დატოვა ძველი სტრუქტურები, ზოგმა – ერთი ხელის დაკვრით დაგმო ყველაფერი ძველი და ასე შემდეგ.

მაგალითად, სხვა შემოქმედებით კავშირებთან ერთად, დაიშალა ჩვენთან მწერალთა კავშირი და მწერლები, რომლებსაც ამ კავშირით ედგათ სული, დარჩნენ გალოკილი თითებივით.

მეზობელ აზერბაიჯანში კი, ამ დროს, არამცთუ დაიშალა მწერალთა კავშირი, არამედ, კიდევ უფრო გაძლიერდა იგი.

ჩვენთან თუ სანაგვეში მოისროლა ხელისუფლებამ მხატვრული სიტყვის ოსტატები, აზერბაიჯანში სანაგვედან დაიწყო მათი ამოქექვა, ვისაც ოდესმე რაიმე შეხება ჰქონია მწერლობასთან.

ერთხელ, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედს, გამოჩენილ მთარგმნელს, ზეზვა მედულაშვილს ვიღაცა უყვება თუ რა პატივში არიან აზერბაიჯანში მწერლები, რომ მათ, ასაკის მიხედვიდ, აქვთ დანიშნული სტიპენდიები 500-დან 1500 დოლარამდე.

ზეზვამ თავისთვის ჩაიდუდღუნა:

– სულ მაგას ვეუბნებოდი ჩემ თავს – ზეზვა, ნუ გათათრდები! ზეზვა, ნუ გათათრები! მოდი და ახლა ნუ გათათრდებიო!

არჩილ ჯვარიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე არჩილ ჯვარიძე ძველმესხურ სოფელ ჭობარეთის მკვიდრი იყო. საშუალო ტანის, პირხმელი, ოდნავ წამოწეული ცხვირით და, დროდადრო, ნახევრადმოჭუტული ცალი თვალით, რომელიც თითქოსდა აზროვნების სიღრმეში წვდომის მცდელობაზე მიგანიშნებდათ.

არჩილ ჯვარიძემ რომ რუსთაველის პოემა ზეპირად იცოდა, ეს ადრე მქონდა გაგონილი, მაგრამ თვალით ნანახი არ მყავდა. პირველად მას შევხვდი რუსთაველის 800 წლისთავზე, შოთას მშობლიურ სოფელ რუსთავში გამართულ საერთოსახალხო ზეიმზე. არჩილი სახეგაბრწყინებული იყო, ეამაყებოდა, რომ ქართველ მწერლებთან ერთად ისიც ამბობდა მისასალმებელ სიტყვას რუსთაველზე... რუსთაველისავე შაირით:

„მე რუსთველი ხელობითა
ვიქმ საქმესა ამა დარი,
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის
ვხელობ, მისთვის მკვდარი,
დავუძლურდი, მიჯნურთათვის
კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება,
ანუ მიწა მე სამარი...“

არჩილ ჯვარიძემ, ამ ჩვეულებრივმა გლეხკაცმა, რომელმაც გამართულადაც კი არ იცოდა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა, ისე ჩაათავა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი, ერთხელაც არ წაბორძიკებულა. უფრო საინტერესო კი ის იყო, რომ შოთას სტრიქონებს ისეთი სიდარბაისლით და დიქციით გადმოსცემდა, გეგონებოდათ მე-12 საუკუნის კაცს უსმენდით.

მეორედ ეს ტკბილმოუბარი კაცი ვნახე ჩემი დის, რუსუდანის ქორწილში სოფელ მუსხში 1968 წელს. ის სუფრის თავში იჯდა, მოპირდაპირე მხარეს. მე შემნიშნა თუ არა, გამომძახა: „ვაჟა-ჯან, ჩემთან გადმოდიო“. უარს რაზე ვეტყოდი, გადავედი. ის რუსთაველის შაირებით ატკბობდა დამსწრეთა ყურთასმენას, მე საკუთარი ლექსებით „გავდიოდი ფონს“...

1967 წელს არჩილ ჯვარიძე კვლავ მოვინახულე. ამჯერად მისსავე სოფელ ჭობარეთში. ახალციხის მუზეუმში ვმუშაობდი და, ვიფიქრე, 70 წელს გადაცილებული კაცისაგან რაიმე საინტერესოს ჩავიწერდი. ჩემი სტუმრობა, შეიძლება ითქვას, ნაყოფიერი გამოდგა: ჩავიწერე რამდენიმე ხალხური ლექსი; ლეგენდა თამარის შესახებ, რუსთაველზე, „ყივჩაღის პაემანის“ ჭობარულ-მესხური ვარიანტი, შევადგინეთ ჭობარეთის ტოპონიმიკა, ვისაუბრეთ ამ სოფლის ეთნოგრაფიაზეც.

ლეგენდა თამარ დედოფალზე

არჩილ ჯვარიძის გადმოცემა: „დანიეთში ქურთ ათანასთან სამი დღე დავრჩი. ზამთარი იყო. ეს ამბავიც მან მიამბო: „თამარ დედოფალი ვარძიაში იყო. თავზე წეროებმა გადაუფრინეს. ერთი მათგანი მოსწყდა წეროების გუნდს და თამარის ფერხთ წინ დაეცა. თამარმა ხელში აიყვანა. ნახა, რო ცალი ფრთა მოტეხილი ჰქონდა. შეუხვია და მოვლა დაუწყო. გაზაფხულზე კიდევ მოფრინდნენ წეროები. თამარს უყურა წერომ, მერე გაფრინდა და გაჰყვა ამხანაგებს. შემოდგომას ისევ დაბრუნდნენ წეროები. თამარი კიდევ გასცქერის წეროებს. ერთი მათგანი კიდე წამოვიდა ფრენით და თამარის ფეხებთან დაჯდა და მიართვა წინდის ორი ჩხირი, ერთი თეთრი, ერთი ყვითელი. აფრინდა წერო და წავიდა. თამარმა იფიქრა, ნეტაი, რა არის ეს ჩხირები, გამოვცდიო. ჩაასხა ერთ ვერცხლის თასში წყალი და ჩადო თეთრი წინდისჩხირი. წყალი მთლად ვერცხლად იქცა. მეორედ ჩაასხა სხვა წყალი იმავე თასში, ჩადო ყვითელი ჩხირი. წყალი ოქროდ იქცა. ამიტომ იყო, რომა, საქართველოში ოქრო და ვერცხლი ულეველი იყო და თამარის სამკაულებსაც მთლად ოქრო შეადგენდა“.

შოთა რუსთაველზე

(თურქულად)

„ყალხ იუხუნდან, ოიან
რუსთაველი შოთა,
ალიმიზდინ გეთტი ასპინძა, ოთა...
ბირ დირამ დარდიმიზ ჩიხლი ბინ ფუთა,
ასკი დავრან გვირჯისტანადმ ყალმადი.
ბირ ზამანდა ვარიდი ფადიშაჰიმიზ,
დაა ყოინუმუზდა ბულუნმიერ
ბირ თაქ შაჰამიზ,
ონიჩუნ არშა ტაიანდა ბიზიმ აჰაგიზ,
გვირჯისტან ერეკლე –
ხანადა ყალმადი.“

თარგმანი

აღსდექ, გაიღვიძე, რუსთაველო შოთა,
ხელიდან წაგვივიდა ასპინძა, ოთა...
ერთი გრამი დარდი გვექცა
ათას ფუთად,
ძველი გამარჯვების დრო
საქართველოსაც არ შერჩა.
ერთხანადაც გვყავდა ჩვენი ხელმწიფე,
ახლა უბეში არ გვეშოვება ერთი შაური,
იმიტომ ცას შესწვდა ჩვენი მწუხარება,
საქართველო ერეკლე-ბატონსაც
არ შერჩა.

სახალხო მთქმელები ლაზარე მჭედლიშვილი, არჩილ ჯვარიძე და კომპოზიტორი ვალერიან მაღრაძე

„ყივჩაღის პაემანი“

არჩილ ჯვარიძის მიერ ნაამბობი „ყივჩაღის პაემანი“, თავისი პროზაულ-პოეტური ნაწილებით, მართლაც რომ მესხური ვარიანტია. ეს ამბავი ჩვენს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეს გაუგონია ზედათმოგველი მღვდლის ტატო კაველიძისაგან: „საქართველოს ერთ დროს ველური ხალხი შემოსევია ჭანგლების სახელწოდებით. ეხლანდელ ქვაბლიანის, ე.ი. ადიგენის და ფოცხოვის საზღვარზე, „ცანცარის ჭალა“ არის. მანდ ერთი დევკაცი დამდგარა და გზაში გამვლელ-გამომვლელს ცარცვავს. ამ დროს ერთი აწყურელი ვაჟკაცი დაინიშნება ფოცხოვში. როცა რომა მაყრიონი წავა პატარძლის მოსაყვანათ, სხვა გზით წავლენ. იქიდან რომ დაბრუნდებიან, ნეფე იტყვის, მე უნდა ყინჩაღთან (ყივჩაღთან) ჩავიაროო. ბევრს დაუშლიან, მაგრამ ნეფემ ინადი (სიჯიუტე) გასწია, მოჰკიდა პატარძალს ხელი და ჩამოიარა ყინჩაღთან, მაყრები კი წასული გზით წამოვიდნენ. რომ ჩამოიარა, ყინჩაყი ნეფე-დედოფალს წინ გადაუდგა. პური სთხოვა, ნეფემ აჭამა, ღვინო სთხოვა – ასვა, ხორცი სთხოვა – აჭამა, შემდეგ დედოფალზედ მიიშვირა ხელი, ახლა ესეც დამითმეო. მოუვიდა გული ნეფესა და გულში ხანჯალი ჩასცა. დაავლო ხელი გამწარებულმა ყინჩაყმა და ნეფე, როგორც რომ ერთი პატარა ქვა, ისრე გაისროლა. ნეფეც იქვე მოკვდა. ამაზე ხალხში შემორჩენილია ლექსი დღემდისინ:

პური მთხოვა და ვაჭმევდი
დაბრაწულ თათუხისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმევდი,
წითელსა ბადაგისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭმევდი
ხორცსა გნოლ-კაკაბისასა,
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
ჩემი ვარჩიე სხვისასა.
გულში უმარჯვე ხანჯალი,
წვერმა უწია ქვიშასა,
ერთი იმანაც და-ცა-მკრა,
ელვას დაჰგავდა ცისასა,
თავს ის მოკვდა და ბოლოს მე
ჭალასა ცანცარისასა,
გამვლელნო და გამომვლელნო
შენდობას მეტყოდით – დაგხსენით
შიშ-ზანზარს ყინჩაყისასა“.

შენიშვნის სახით განვმარტავთ, რომ ყინჩაყი იგივე ყივჩაღია, „ცანცარის ჭალა“ კი მდებარეობს „ქვაბლიანის-წყლისა“ და „ფოცხოვის-წყლის“ შესართავთან. რაც შეეხება სიტყვა – „ინადს“, თურქული უნდა იყოს, ქართულად ნიშნავს ჯიუტს, გაჯიუტებულს („რა ინადიანი კაცია“, „დაიჭირა ვირის ინადი“).

მიხა–პაპა

ამასობაში სადილის დროც მოვიდა. ოჯახის დიასახლისმა სუფრა გაშალა. გაჩნდა ყველი-პური, ხინკალ-ხაჭაპური, მესხური ჭანჭურის არაყი. ამ „ორბიტაში“ ჩავრთეთ არჩილის მამაც, ას წელს გადაცილებული მიხა ჯვარიძე, რომელიც იქვე, სუფრასთან ახლოს, კედლის მთელ სიგრძეზე მიდგმულ ხის საქვეზე (ტახტზე) გაშლილ ლოგინში იწვა. ეს ის მიხა ჯვარიძეა, რომელმაც, სხვა მოხუცებთან ერთად, ცნობილ მესხ კომპოზიტორს, ვალერიან მაღრაძეს, ჩააწერინა ძველმესხური სიმღერები. ამ სიმღერებს მღერიან სამცხე-ჯავახეთში „შოთაობაზე“, სხვა საზეიმო ღონისძიებების ჩატარების დროს. მიხა-პაპამ რამდენიმე ხინკალი რომ შეჭამა, ორიოდე ჭიქა არაყიც დააყოლა, პირჯვარი გადაიწერა და თავი ბალიშისკენ წაიღო, მაგრამ შვილმა შეაჩერა: – მამა, „პალოს“ ამბავი თქვი და ისე დაწექიო. მოხუცს გაეღიმა, კარგი, ვიტყვიო. თურმე, აი რა მომხდარა: მეზობელ სოფელ ხეოთიდან გოგო გათხოვილა ჭობარეთში. დიდებული ქორწილი გადაუხდიათ. ქორწილი მეორე დღესაც გაგრძელებულა. დღის მეორე ნახევარში კარგად შეზარხოშებული დედოფლის მაყრები აიშალნენ, დაემშვიდობნენ ნეფე-პატარძალს, ოჯახს, ძველ და ახალ ნათესავებს და სიმღერით და ჰარიჰარალით თავიანთი სოფლის გზას გაუყვნენ. იქვე, გზის პირას, მიხა-პაპას ცხენი ძოვდა ბალახს. დედოფლის მაყრებმა ახსნეს დაბმული ცხენი და ჯაჭვიან-პალოიანა წაიყვანეს. მიხა-პაპა ჩავიდა ხეოთში. ნახა ცხენიც, ჯაჭვიც, მაგრამ პალო არ ჩანდა, რომელზეც ჯაჭვი იყო დამაგრებული. მაყრებისთვის უთქვამს ბერიკაცს: „ბიჭებოჯან, ცხენი ვნახე, ზანჯირიც (თურქ. ჯაჭვი) ადგილზეა, პალო რაღა უყავითო?“ პალოს ხსენებაზე ბევრი უცინიათ ხეოთელებს და... ჩვენც გაგვეცინა მაშინ, მამა-შვილ მიხა და არჩილ ჯვარიძეებთან სტუმრობისას.

ასპინძაში

1978 წლის ზაფხული იყო, ასპინძაში გახლდით ნათესავის დაკრძალვაზე. უცებ, ჭირისუფალთა შორის, თვალი მოვკარი არჩილ ჯვარიძეს. თურმე გარდაცვლილი მისი ნათესავიც ყოფილა. მოვიკითხეთ ერთმანეთი, ვუთხარი – შენი ნახვა ისედაც მინდოდა. წელს, აგვისტოში, სრულდება 150 წელი ახალციხის გათავისუფლებისა თურქთა 250-წლიანი ბატონობისაგან. რაიმე ხალხური ლექსი ან ლეგენდა, ალბათ, გეცოდინება ამ თარიღთან დაკავშირებით-მეთქი. – არ ვიცი, თქვა. – აგრე უცებ ნუ მპასუხობ, იფიქრე, იქნებ გაიხსენო-მეთქი. მან თავი დაბლა დაიღო, ცალი თვალი მოჭუტა და ცოტა ხნის შემდეგ თქვა: – ვიცი, მაგრამ არ გამოგადგება, თურქულიაო. – ახალციხის აღებაზეა? – ვკითხე. – ჰოო, – მითხრა. – მიდი, დააყარე წისქვილს საფქვავი-მეთქი. არჩილ ჯვარიძემ ასე დაიწყო:

– „ბებიაჩემისაგან (დედაჩემის დედისაგან, ასპანიძე იყო, ვალედან, ტობაში სუდაძეზე გათხოვილი) გამიგონია ეს ლექსი, რომელიც პასკევიჩის მიერ ახალციხის აღებას ეხება:

„ახშამ ოლდი, ათა არფაი, ასტილარ,
იახი ვახტი ახისხაი ბახტილარ,
ჰარგიშლარი ხიარ-ქიმი ქიასტილარ,
იარაბმ იმდად ეთ, იანდი ახისხა!
უჩ მინარა იანდი, უჩ და ჯამსი,
იღლდილარ აღალარინ ჰამსი,
იასირ დვიშტი აჰმადია ჯამსი,
იარაბმ იმდად ეთ, იანდი ახისხა!
სარი სალდათ გიალდი,
მათარისა ტაიანდი,
ყოჩ იგითლარ ყიზილ ყანა ბოიანდი,
იარაბმ იმდად ეთ, იანდი ახისხა!“

თარგმანი:

დაღამდა, ცხენებს ქერი
ჩამოჰკიდეს (პარკით კისერზე),
განთიადისას ახალციხეს დაჰკრეს,
ვაუკაცები კიტრებივით დაჭრეს,
ღმერთო, შეგვეწიე, დაიწვა ახალციხე!
სამი მინარეთი დაიწვა, სამიც ჯამე,
იქ მოგროვდა ბატონების ჯალაბობა.
ტყვედ ჩავარდა აჰმედის მეჩეთი.
ღმერთო, შეგვეწიე, დაიწვა ახალციხე!
ქერა ჯარი მოვიდა, სანგრებს მოატანა,
მამალი გმირები სისხლში შეიღებნენ...
ღმერთო, შეგვეწიე, დაიწვა ახალციხე!

ასეთი ცხარე, დაუნდობელი ბრძოლების შემდეგ, 1828 წლის 15 აგვისტოს პასკევიჩმა წაართვა თურქებს ახალციხის ძლიერი ციხესიმაგრე. მომდევნო, 1829 წელს თურქები შეეცადნენ ქალაქის უკან დაბრუნებას ტრაბახით:

„იშ ალლა, ელიმ ალლა,
უჩ თოფა ახისხა ალურუხ!“

ე.ი.

„ღმერთის საქმეა ჩვენი
მარჯვენის საქმეა,
სამი თოფით ახალციხეს ავიღებთ“.

მაგრამ ეს მათ აღარ გამოუვიდათ. კვლავ დამარცხდნენ.

არჩილ ჯვარიძემ მაშინ კიდევ ერთი თურქული ლექსი ჩამაწერინა, ოღონდ სატრფიალო:

„აჩინ დუგუნ ყაფისი,
ჩიხსინ ყიზლარინ ყოხუსი,
თვიანგიმინ ყურშუმი,
ბან ბილურუმ იშიმი,
ო, ყირმიზინ იანიღინდა,
ყრაჯაღმ დიშიმი“.

თარგმანი:

„გააღეთ ქორწილის კარი,
გამოვიდეს ქალიშვილების სურნელება,
ჩემი თოფის ტყვია –
ჩემი საქმე მე ვიცი,
იმ წითელ ლოყაზე
კბილი უნდა მოვიტეხო.“

კოტეტიშვილთან

1980 წლის 21 დეკემბერს, მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში (ახალციხე), მოეწყო ქართული ხალხური პოეზიის საღამო, რომლის ინიციატორი, უშუალო მონაწილე და ხელმძღვანელი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვახუშტი კოტეტიშვილი. ხალხური პოეზიის საღამოზე თავი მოიყარეს სამცხე-ჯავახეთის სახალხო მთქმელებმა, მელექსეებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა. მათ შორის იყო არჩილ ჯვარიძეც, თავისი განუყრელი ჯოხით. კოტეტიშვილმა გააფრთხილა, შენ რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცი, ყველას კარგად მოეხსენება, ამიტომ რაიმე ხალხური ლექსი თქვიო. ბერიკაცმა კი თქვა „რაღაც ხალხური“, მაგრამ მალე გამოელია და „აკრძალულში“ გადავიდა: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“... კოტეტიშვილმა მყისვე შეაჩერა მოხუცი. ჯვარიძეს გული მოუვიდა და ჯოხი მოუღერა. შენ რა გინდა, ხალხს ეს მოსწონსო. დარბაზმა გულიანად გადაიხარხარა.

მუდმივი და შეუცვლელი ქვეყნად არაფერია, აღარ არიან აღარც მიხა და აღარც არჩილი. ისინი, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგა ხანია, „შერთვიან სულთა სირას“. ღმერთმა „აცხონოს“ სახელიანი მამა-შვილი – მიხა და არჩილ ჯვარიძეები!

ვაჟა სამსონიძე

ნახ. რეზო ხითარიშვილისა

***

უწინ საქართველოში ყოფილა მამასახლისობა. ორ-სამ სოფელს ერთი კაცი უფლობდა. იმ ხანებში თათარი წამოვა და მთლათ ააოხრებს სოფლებს. მცირენლოვანი ფარნაოზი დედამისს გადაარჩენს და გაიქცევა. ნადირობს და იმით არჩენს დედას. ერთხელაც წაწყდება ირმის ჯოგს და მოკლავს ირემს. დაუღამდება. დაიწყებს ხეტიალს რომ დასაძინებელი ადგილი ნახოს. ერთ მაღაროში შევა და ნახამს, რომ რაღაც კედელია აშენებული. დაანგრევს იმ კედელს და ნახამს ოქრო-ვერცხლის ხაზინას. მივა სახლში, გამოიცვლის ტანისამოსს და დედამისთან ერთათ მოზიდავს სახლში.

შემდეგ ფარნაოზი ეტყვის დედამისს, – დედა, მამაჩემის მახლობელი მეგობარი ვინ არისო. ისიც მიუთითებს მოსაზღვრე ბერძნების ხელმწიფეზე.

ადგება და წავა, გაეცნობა ხელმწიფეს და ეტყვის, ჩემი სამშობლო საქართველო დღეს იღუპება, შველას შენგან ვითხოვო. ძალა შენგან და სალდათი ჩემგანო.

ფარნაოზმა მისცა ეს რამოდენიმე ოქრო-ვერცხლი. შეჰკრიბეს დიდძალი ჯარი და თათრებთან დაიწყეს ომი. დაამარცხეს თათრები. საქართველოს საზღვარი გადასწიეს ტრაპიზონამდის. მაშინ მეფედ დასვეს ფარნაოზი.

და მაშინ ფარნაოზმა ორი სამი სოფელი ერთ კაცს ჩააბარა და უთხრა, ამ სოფლების თავადი იქნებიო. ასე რომ თავადობა საქართველოში ფარნაოზ მეფობის დროს არის დარჩენილი.

***

ქალაქში იყო ერთი ხამბალი (ბარგის მზიდავი). ხამბლობიდან 300 მანეთი შეაგროვა. ერთ დღეს მას შეხვდა ერთი ურია, მისებრ ისიც ხამბალი იყო. ურიამ უთხრა, ასეთი მუშაობით წელი გაგვეღლიპა. ხამბალმა უთხრა: მე 300 მანეთი მაქვს და შენც გაქვს 300 მანეთი, ეს იქნება 600 მანეთი. დაიქირავეს ერთი პატარა დუქანი. იყიდეს წვრილმანი. როცა მოიტანეს დუქანში, დაწყეს. ურიამ უთხრა, ამ საქონელს ფასი დავადოთ. ურიამ უთხრა, რომ 10 კაპიკის საქონელს მივაწეროთ 10 კაპიკი, თუ მოგვცეს და თუ არ მოგვცეს, რასაც მოგვცემენ, ისე მივცეთ. რომელიც 20 კაპიკად ვიყიდეთ, დავაფასოთ 70 კაპიკი. თუ არ მოგვცეს 70 კაპიკი და მოგვცეს 30 კაპიკი, მივცეთ. მეორემ უთხრა, რომ ყოველ საქონელზე ერთი კაპიკი ვისარგებლოთ. ურიამ უთხრა, არ შეიძლებაო. წამო, წავიდეთ სასამართლოში. ისინი წავიდნენ საქმის გასარჩევად. მათ უთხრეს, რომ ჩვენ გვინდა საქონელი გავყიდოთ ამ და ამ ფასებში. მაშინ (დივან-ხანმა) უთხრა, როგორც ურიამ თქვა, ისე უნდა გაიყიდოს, იმიტომ, რომ მეტი უნდა მოსთხოვო, რომ ნაკლები მოგცენ. ურიის თქმა იქმნა გატარებული. ეს ხამბალი წავიდა ტყეში და იქ დაუღამდა. წყაროზე წყალი დალია და ხეზე ავიდა ღამის გასათენებლად. ცოტა ხნის შემდეგ ამ წყაროზე სამი კაცი მოვიდა. ამ სამმა კაცმა ერთმანეთში წაილაპარაკეს. ვინ იცის, კარგი ამბები რომ ილაპარაკოს? მერე ერთმა თქვა, რომ ერთ ქალაქში ერთმა კაცმა ბევრი ოქრო შეაგროვა და თვითონ მოკვდა. მხოლოდ ოქრო სახლის ერთ კუთხეში აქვს დამალული. თავის შვილებმა არ იციან. მე დილას უნდა წავიდე, რომ მოვიტანო, ამა და ამ ქუჩაზეა შენახული, კოჭატას თავი უჩანს.

ხამბალმა იშოვნა, სადაც იყო დამალული. მივიდა კარებზე, ყური დაუგდო, რომ ხმაურობა არის და ერთმანეთს სცემენ, ხამბალმა უთხრა, რაზე ჩხუბობთ. მე ვიცი თქვენი ოქროები სადაც არის შენახული. მოიტანეს ყაზმა (კირკა). გათხარეს. ამოიღეს ოქრო. უფროსმა ძმამ თქვა: ჩემი წილის ნახევარს მაგას ვაძლევო. სამმა ძმამ დაირიგეს და ხამბასაც მისცეს სამთავეგ ოქრო.

ხამბალი წავიდა თავისთვის. იყიდა სახლ-კარი, დუქანი და დაიწყო ცხოვრება. ურია კი დარჩა მშიერი და წავიდა ხამბალს ევაჭრებოდა. ხამბალმა გაიცინა და უთხრა: წადი შენ აქედან, შენ ქენი მე არ ვიზამ.

გამოთქმული **აკოფ ქოლიანის** მიერ.
სოფელი გოკია

***

ჩემს პატარაობის დროს, როდესაც სამოოთხი წლისა ვიქნებოდი, მაშინ მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს 1905 წლის რევოლუციაზედ. ასრე:

ორი ბოთლი, ერთი შუშა,
ძირს ნიკალა, მაღლა მუშა.
მუშავ, მუშავ, სად გდიხარ,
შენ,
მუშავ, მუშავ, სად გძინავს შენ,
სად გძინავს შენ.

მე როდესაც მოვესწარი, პაპაჩემი ისევ ცოცხალი იყო, რომელიც ძველს ამბებს ბევრს გვიამბობდა. ის იტყოდა ხოლმე: მე რომ მოვესწარიო, სოფ. ზველში ვცხოვრობდითო. მთელს სოფელში მეხრე არ იყოვო, რომ უღელზედ დასჯდომოდაო და ხარს გასჯავრებოდა ყანის ხვნის დროს, ან ურემზედ წასვლის დროს. ჩემს დროს სულ სამი მეხრე ვიყავით-თქო. ასრე, რომ წვრილი ფეხობა ძნელათ იზრდებოდა. ერთი სნეულება იყოვო, რომელსაც ჟამის ჭირს ეძახდნენ და მით დასნეულებულ დიდ კაცებსა ხოლმე ყელები გამოხვრეტილი ჰქონდათო.

როცა რუსი მოვიდა და აქაურობა აიღოვო, მოვიდნენ სოფ, ზველშიო და დააგროვეს ძველძული ლოგინის ნახევები, ძველი ტანი და სულ დაწვეს სოფელში, შიგ სოხახები დაგვაგვევინეს. საქონლის სასუქს სოფელში აღარ აჩერებდნენ, სულ მინდორში გვაზიდინებდნენ ხოლმეო და მალე ხალხი მომრავლდა. ათი-თხუთმეტი წლისა რომ გავხდი, მერმე ჩვენ სოფელ ჭობარეთში საცხოვრებლად პაპაჩემი და მამა-ბიძაჩემი დასვინათებული იყვნენ. პაპაჩემს ხიზაი ერქვა, ბებიაჩემს – ხვარამზაი. მამაჩემს ქართული სახელი პავლეი ერქვა და თათრული სახელი ბადალაი. ბიძაჩემს ქართული სახელი ალექსაი ერქვა, თათრული სახელი მურადაი. პაპაჩემს თუმცა ხიზაი ერქვა, მაგრამ ღიღინას უძახდნენ, იმიტომ, რომ სულ ღიღინობდაო, იმიტომ, რომ ცხადათ თათარი იყოვო და მალულად – ქართველი იყოვო და, თურმე, რომ ღიღინობდაო, სულ ქართულ ლოცვებს ამბობდაო. ორმოცი წელინადი ცხვარში იარაო და სულ სამარხოს სჭამდაო და სახსნელოს სულ არ ეკარებოდაო. რომ შევეკითხებოდით, – პაპა, ამ ყველ-ერბოს ან თუ ხორცს, რატომ არ სჭამო. – შვილო, ვერ ამიტანია, ავათ ვხდები და იმისთვის ვერ მიჭამიაო, – მაშინვე გვიპასუხებდა. თურმე, მარხვა ეჭირა სულ, იმიტომ, რომ, თუ რომ მარხვის დროს მარხვა დაეჭიროდა, ხსნილის დროს რომ ეჭამა, მალულ ქრიატიანობას გაუგებდნენ და მამულს ჩამოართმევდნენ და თანაც ხარჯს დაადებდნენ.

დედაჩემი ჯავახელი იყო, სოფელ ჩუნჩხიდგან, გლახაანთ ქალი იყო. რომ უთხოვნია მამაჩემს, წამოუყვანია თურმე თათრული წესით. დედაჩემის დედას უთქვია: ვაიმე, გოგო, თათრებს მივეციო. მაშინ პაპაჩემი ეტყვის: ნუ გეშინია, მზახალო, ჩვენ ჩუმათ ქართველები ვართო. მე რომ მოვესწარი, ჩუმათ ინათლებოდნენ. მღვდელი იყო ზველში, საქრისტიანო ხარჯს ხდილობდა და, ცხადათ, ქრისტიან ქართველათ იყვნენ გლეხობა. მე ვეკითხები – პაპა, რატომ თქვენც ხარჯი არ გადიხადეთ და რატო გათათრდიო, პაპა მეუბნებოდა: იმ დროს ჩვენ არ ვყოფილვართ როცა პაპაჩემი გათათრებულა, იმიტომ, რომ, იმ დროს ფულის შოვნა ძნელი იყოო.

სოფ. ზველის აღმოსავლეთით მდებარეობს სოფელი ონღორა. იმ დროს ამ სოფელს ორგორას უძახდნენ. ამ სოფლიდგან, თურმე, ახალციხეში ზურგით კირი უზიდიათ და მთელი წლის განმავლობაში იმდენი ფული ძლივს აუღიათ, რომ ერთი წლის საქრისტიანო ხარჯი გადაუხდიათ. ასრევე, მეორე წელიწადსაც და მესამე წელიწადს, ვეღარაფერს გახდებიან და წავლენ და ახალციხის ფრანგების მღვდელს შეეხვენებიან, რომ ფული მოგვეცი, თავი დავიხსნათო. მღვდელიც მისცემს ორივე ძმის სახარჯო ფულს და ასრე გადირჩენენ თავს. იმ წლითაც, მევერე წელს, ერთი ამის გადასახადს ფულს შეიძენენ და ერთი ძმის გადასახადს ვეღარ იშოვიან და ძმებს შუა ასტყდება დავა, რომ არა შენ გათათრდი და არა შენო. ბოლოს ერთი დასთანხმდება და ერთი ძმა იმ წლითაც დარჩება ქრისტიანად. მერე ისიც გათათრდება. ბოლოს რუსის ხელმწიფემ რომ აიღო ახალციხე, მურადაი და ბადალაი, გაქრისტიანდებიან იმიტომ, რომ ქორფაობის დროსვე მამულათ მოუნათლავთ ქრისტიანულ წესზედ. და ისინიც მალულათ ქრისტიანი ყოფილან. პაპაჩემი ამბობს: ბოლოს ჩვენ მურადასა და ბადალას შვილები სოფელ ჭობარეთში გადმოვედით სოფელ ზველიდგან დასაბინავებლათ და სამუდამოდ, რადგან იმ დროს ჭობარეთში არავინ ცხოვრობდა და ვერანა ნასოფლარი უპატრონოთ ეგდო. ბოჭკვიენი ხეოთიდგან გადმოვიდნენ, იაღმურიენი და ჭადალიენი, ეხლანდელი ვერანა ჭობარეთიდგან მოვიდნენ, ჭიანურიენი კი ბინადარი იყვნენ. ასე, რომ სულ შვიდი კვამლი შევგროვდით სოფელ ჭობარეთის მცხოვრებნი. კიდოვ, პაპაჩემი ამბობს: მაშინ თათრებს ჯამი ჰქონდათო და ქართველებთან ახლოს იდგაო. როცა იმათი მოლლა აზანს მისცემდაო, ქართველი ბავშვები გამოვიდოდნენ და მოლლას გააჯავრებდნენო. მაშინ ქართველები ჩავლენ ახალციხეში თათრის ფაშასთან და დიდძალ ფეშქაშსაც მიარომევენ. ბოლოს მოახსენებენ, რომ მუსულმანების ჯამი ჩვენთან ახლოს არის და ყოველ აზანის მიცემის დროს ჩვენი ბავშვები გამოვლენ და მოლლას აჯავრიან და თუ შეიძლება ჯამი ჩვენ საყდრათ დაგვიტოვეთ, ყოველ წელს მოგცემთო იმის გადასახადს. ფაშაც მისცემს ქართველებს ჯამის: ქართველები ისრევე იხმარებენ ამ ჯამის – საყდრათ. ჯამი ხით იქმნება ზევიდგან დახურული. ხე ჩამოლპა და ქვით კირისას ააშენებენ. ბოლოს სოფელი რომ გამრავლდება, იმ საყდარსაც დაანგრევენ და მეორეთ დიდ საყდარს გააშენებენ 1893 წელს.

პაპაჩემი კიდევ იტყოდა, ჭობარეთში რომ გადმოვედით, მე ცხრამეტი წელი დავასრულე და ოცში ჩავდექიო, ამ დროს რუსი იყო აქ და თათარი ორჭოშანში. თათრის წინამძღოლ ფერიგ ფაშამ ახალციხეზედ იერიში მოიტანა და სოფლები სულ ააოხრეს. ჩვენ იმ დროს სოფელ საროში გაველით და იქ გადვირჩინეთ თავი. ბოლოს თქვეს, რომ საროს თათარმა უნდა დაჰკრასო და იქიდგან წამოველით და თან ცხვარიც წამოვასხით სოფელ ასპინძაში ჩვენს მეგობრებთან, ზუბანიენთან. ხვილიშას რომ ჩამოველით, იქ თათრის ჩათა დაგვხვდა და ცხვარი ძირიან წაგვართვეს ჩვენ და მაზმიენთ. ქალი, რძალი სულ ტყეში გაიქცა და მაღლა კლდეებში მიიმალა და ისრე ძლივს გადარჩნენ უბედურებას. იქიდგან წამოველით და სოფელში მეზობელ თათრებთან მოველით. ბოლოს ჩხუბი დაიწყეს და რუსმა დილით ადრიან, როდესაც თათრის ჯარი სხვილისში ჩაის სასმელათ დასხდა, მაშინ ერთი ზარბაზანი ესროლაო და თათარს შიგ სუფრაზე ჩაუვარდაო ზარბაზნის ყუმბარა. მაშინ მიაყოლა კიდევ სხვაც და, როგორც ერთ დღეზედ მოვიდა, ისევ ერთ დღეზედ გავიდა თავის საზღვარზედ.

ამ ფერიგ ფაშას მოსვლის ამბავი კიდევ მიამბო დედაჩემის დედამ, რომელიც თითონ ვალელი იყო და სოფელ ტობაში იყო გამოთხოვილი. ასრე იტყოდა, მეო, თორმეტი წლისა ვიყავიო, როცა ფერიგ ფაშა ახალციხეზედ წამოვიდა ერთ მშვენიერ დღეს, შუადღისას, ვნახოთ, რომ ორჭოშნიდგან თათრის ჯარი წამოვიდა, ჩვენც ვალედგან დავცქეროდით. იმოდენა ჯარი მოვიდა, რომ თვლა არ ჰქონდა. მაშინ ჩვენი უმფროსი ხალხი სულ თავზედ სარუღ მოხვეული პურმარილით წინ მიეგებნენო. მოვიდნენ და ვალის ქართველების ეკლესიაში სულ ოქრო და ვერცხლი შეალაგეს. ფრანგების ეკლესიაში ბრინჯი დაალაგეს, თათრების ჯამიში ფქვილი შეალაგეს და ქართულ ეკლესიის გალავანში ფერხული დააბეს და ასრე მღეროდნენ:

ანესა და ნანასა,
მეზობლები კარასა,
მეზობლები დაგხოციან,
ხვალ ამ დროს ცოცხალსა,
აჩინ დვიგინ ყაფსი,
ჩხსნყიზლარ ყოხუსი,
თვიანგიმინ ყურშუმი
ბან ბილურუმ იშიმი,
ო, ყირმიზი იანაღინა,
ყარაჯაღიმ დიშიმი...
და სხვა.

დედაჩემი დაეკითხა ერთ სალდათსა თათრულათ, „ოღულ გენა ჩოხმი გალაჯახ ასკარ“. მან უპასუხა: „ანაჯან, ობოიჯა, ასკარ გალაჯახქი უჩ თოფა ახსათ ალაჯახურ ალაინან“; მაგრამ იმ ღამეს ახალციხის ციხიდგან ერთი ზარბაზანი გაიშალა. ფაშები ჩვენსა იყვნენ. მოვიდა და ერთმა ჯარისკაცმა ფაშას უთხრა: ფაშავ, რუს ხვალ ომი აქვს და ჩვენც მოვემზადეთ. ფაშამ ასრე უთხრა: რუს ეშინია და განგებ ისვრის ზარბაზანს, ჩვენ ხვალ დავისვენოთ, ზეგ ახალციხეს უფრო ადვილათ ავიღებთო. ერთიც, იმ ღამეს განთიადისას, ახალციხიდგან ზარბაზნებმა იწყეს ხშირად სროლა. ნახო, რომ დილით თათარი მოიგლიჯა და როგორც ნახირი არეულ-დარეული, გარეკა რუსმა თავის საზღვარზედ.

ჩაწერილია ვახტანგ სუდაძის მიერ, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ფ. N89 (878). ი.პაპისიმედოვის, გ.ტაბატაძისა და ვ.სუდაძის მიერ წნისის ხევის და სხვა სოფლების 1940 წლის ექსპედიციის ანგარიში. 4-8 აგვისტო.

მადლობა

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჟურნალ „არავის“ სარედაქციო საბჭოს (რედაქტორი მერაბ ბერიძე), ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ჟურნალის (N25) საშუალებით გულწრფელად მომილოცა ჩემი დაბადების 70 წლის იუბილე, რაც ჩემთვის დიდი ავანსია იმისა, რომ მომავალშიც მთელი ჩემი ენერგია უშურველად მოვახმარო მშობლიურ საქართველოს და ქართული ეროვნული კულტურის განვითარების დიდ და საპატიო საქმეს.

ავთანდილ ბერიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit – meskheti@yahoo.com